

**შპს „თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია“**

**ფინანსური ანგარიშგება**

*2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

## შინაარსი

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

|                                                     |       |
|-----------------------------------------------------|-------|
| სრული შემოსავლის ანგარიშგება.....                   | 6     |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....            | 7     |
| ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....         | 8     |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....     | 9     |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები..... | 10-42 |

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანიის“ მფლობელებს, საზედამხედველო საბჭოს და ხელმძღვანელობას

### მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანიის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია აღწერილია დასკვნის *აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე* ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები “ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს” (IESBA) “პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის” (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და საქართველოში ფინანსურ ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

### კომპანიის 2024 წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2024 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სავარაუდოდ, კომპანიის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი არ ვრცელდება წლიურ ანგარიშზე და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მარწმუნებელ მოსაზრებას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობებს.

### **ხელმძღვანელობისა და საზედამხედველო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფას-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

საზედამხედველო საბჭო პასუხს აგებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს ბუღალტრული საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, საზედამხედველო საბჭოს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის, ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:



მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2025 წლის 7 თებერვალი

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს ბუღალტრული საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, საზედამხედველო საბჭოს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის, ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2025 წლის 7 თებერვალი

| ‘000 ლარი                                                                                                     | შენიშვნა | 2024            | 2023           |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------|-----------------|----------------|
| შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან                                                      | 6        | 687,032         | 703,912        |
| შესყიდული ელექტროენერგია და მასთან დაკავშირებული ხარჯები                                                      | 7        | (715,693)       | (613,550)      |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის წმინდა აღდგენა/(დარიცხვა), | 13       | 338             | (2,306)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                                          |          | (1,206)         | (1,131)        |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                                                                                       | 8        | (2,891)         | (2,505)        |
| <b>საოპერაციო (ზარალი)/მოგება</b>                                                                             |          | <b>(42,780)</b> | <b>75,510</b>  |
| ფინანსური შემოსავალი                                                                                          | 9        | 33,650          | 27,297         |
| ფინანსური დანახარჯები                                                                                         | 9        | (712)           | (227)          |
| საკუთრო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი                                                                     |          | (34)            | (32)           |
| <b>(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</b>                                                        |          | <b>(9,876)</b>  | <b>102,548</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                                     |          | (277)           | (830)          |
| <b>წლის (ზარალი)/ მოგება</b>                                                                                  |          | <b>(10,153)</b> | <b>101,718</b> |
| სხვა სრული შემოსავალი                                                                                         |          | -               | -              |
| <b>წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი</b>                                                                         |          | <b>(10,153)</b> | <b>101,718</b> |

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 7 თებერვალს.

გენერალური დირექტორი  
ანატოლი მარკოვი



ფინანსურ-ეკონომიკური  
სამსახურის უფროსი  
ალა სეისიანი

**შპს „თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია“**  
 სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

| <b>‘000 ლარი</b>                                       | <b>შენიშვნა</b> | <b>2024</b>     | <b>2023</b>    |
|--------------------------------------------------------|-----------------|-----------------|----------------|
| შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული                 |                 |                 |                |
| ხელშეკრულებებიდან                                      | 6               | 687,032         | 703,912        |
| შესყიდული ელექტროენერგია და მასთან                     |                 |                 |                |
| დაკავშირებული ხარჯები                                  | 7               | (715,693)       | (613,550)      |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი              |                 | (10,360)        | (8,910)        |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის წმინდა        |                 |                 |                |
| აღდგენა/(დარიცხვა),                                    | 13              | 338             | (2,306)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                   |                 | (1,206)         | (1,131)        |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                                | 8               | (2,891)         | (2,505)        |
| <b>საოპერაციო (ზარალი)/მოგება</b>                      |                 | <b>(42,780)</b> | <b>75,510</b>  |
| ფინანსური შემოსავალი                                   | 9               | 33,650          | 27,297         |
| ფინანსური დანახარჯები                                  | 9               | (712)           | (227)          |
| საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი             |                 | (34)            | (32)           |
| <b>(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</b> |                 | <b>(9,876)</b>  | <b>102,548</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                              |                 | (277)           | (830)          |
| <b>წლის (ზარალი)/ მოგება</b>                           |                 | <b>(10,153)</b> | <b>101,718</b> |
| სხვა სრული შემოსავალი                                  |                 | -               | -              |
| <b>წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი</b>                  |                 | <b>(10,153)</b> | <b>101,718</b> |

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 7 თებერვალს.

გენერალური დირექტორი  
 ანატოლი მარკოვი

ფინანსურ-ეკონომიკური  
 სამსახურის უფროსი  
 ალა სეისიანი

| ‘000 ლარი                                     | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|-----------------------------------------------|----------|----------------------|----------------------|
| <b>აქტივები</b>                               |          |                      |                      |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |          |                      |                      |
| ძირითადი საშუალებები                          | 10       | 1,141                | 1,387                |
| აქტივის გამოყენების უფლება                    | 11       | 825                  | 1,459                |
| არამატერიალური აქტივები                       | 10       | 849                  | 609                  |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              |          | <b>2,815</b>         | <b>3,455</b>         |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                     |          |                      |                      |
| მარაგები                                      |          | 38                   | 38                   |
| გაცემული სესხი                                | 12       | 16,566               | 16,566               |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება        | 13       | 64,527               | 65,176               |
| ვადიანი დეპოზიტები                            | 14 (b)   | 92,000               | -                    |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები         | 14 (a)   | 157,872              | 238,311              |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                 |          | <b>331,003</b>       | <b>320,091</b>       |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>333,818</b>       | <b>323,546</b>       |
| <b>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>     |          |                      |                      |
| <b>კაპიტალი</b>                               |          |                      |                      |
| საწესდებო კაპიტალი                            | 15       | 100                  | 100                  |
| გაუნაწილებელი მოგება                          |          | 228,430              | 240,661              |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  |          | <b>228,530</b>       | <b>240,761</b>       |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>             |          |                      |                      |
| საიჯარო ვალდებულებები                         | 11       | 306                  | 809                  |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>306</b>           | <b>809</b>           |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                |          |                      |                      |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება       | 16       | 89,396               | 66,419               |
| წმინდა საგადასახადო დავალიანება               | 17       | 7,893                | 9,048                |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები                  | 6        | 7,043                | 5,745                |
| საიჯარო ვალდებულებები                         | 11       | 650                  | 764                  |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>            |          | <b>104,982</b>       | <b>81,976</b>        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> |          | <b>333,818</b>       | <b>323,546</b>       |

| ‘000 ლარი                                                                                      | შენიშვნა  | 2024            | 2023           |
|------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|-----------------|----------------|
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>                                       |           |                 |                |
| მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები (დღგ-ის ჩათვლით) *                                  |           | 813,018         | 837,982        |
| შესყიდულ ელექტროენერგიაზე მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები (დღგ-ის ჩათვლით)         |           | (732,178)       | (655,355)      |
| თანამშრომლებისთვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) |           | (9,958)         | (7,802)        |
| გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა                                              |           | (82,238)        | (87,941)       |
| გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები (დღგ-ის ჩათვლით) *                                           |           | (6,277)         | (6,985)        |
| <b>ოპერაციებიდან (გამოყენებული)/მიღებული ფულადი სახსრები</b>                                   |           | <b>(17,633)</b> | <b>79,899</b>  |
| ნაშთი საბანკო ანგარიშზე გამოყენების შეზღუდვით **                                               |           | -               | 22,600         |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                                                   |           | (1,107)         | -              |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან (გამოყენებული)/მიღებული ფულადი ნაკადები</b>                        |           | <b>(18,740)</b> | <b>102,499</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                              |           |                 |                |
| ვადიანი დეპოზიტების მოძრაობა                                                                   |           | (92,000)        | -              |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა (დღგ-ის ჩათვლით)                     |           | (497)           | (646)          |
| საბანკო მიმდინარე ანგარიშებზე, დეპოზიტებზე მიღებული პროცენტი                                   |           | 31,870          | 27,118         |
| გაცემულ სესხზე მიღებული პროცენტი                                                               | 12        | 2,629           | 1,036          |
| შემოსულობა დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხიდან                                              | 12        | -               | 10,000         |
| დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი                                                            | 12        | -               | (19,000)       |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>                |           | <b>(57,998)</b> | <b>18,508</b>  |
| <b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>                                        |           |                 |                |
| საიჯარო ვალდებულებების დაფარვა                                                                 | 11        | (1,024)         | (872)          |
| დივიდენდების გადახდა                                                                           |           | (2,078)         | (6,000)        |
| გარანტიებზე გადახდილი პროცენტი                                                                 |           | (599)           | (102)          |
| <b>ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>                               |           | <b>(3,701)</b>  | <b>(6,974)</b> |
| <b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა</b>                         |           | <b>(80,439)</b> | <b>114,033</b> |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში                                          |           | 238,311         | 124,278        |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>                                        | <b>14</b> | <b>157,872</b>  | <b>238,311</b> |

\* მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები და გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს 3,803 ათას ლარს და 3,510 ათას ლარს, შესაბამისად 2024 წლის განმავლობაში (2023 წლის განმავლობაში: 4,358 ათას ლარს და 4,195 ათას ლარს შესაბამისად), რაც არ წარმოადგენს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შემავალი ოპერაციების შედეგს (ძირითადად დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები).

\*\* ნაშთი საბანკო ანგარიშზე გამოყენების შეზღუდვით არ წარმოადგენს კომპანიის ფულადი სახსრების მენეჯმენტის განუყოფელ ნაწილს.

შპს „თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია“  
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

| ‘000 ლარში                                        | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ საკუთარი<br>კაპიტალი |
|---------------------------------------------------|-----------------------|-------------------------|--------------------------|
| <b>2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>           | <b>100</b>            | <b>145,178</b>          | <b>145,278</b>           |
| წლის სრული შემოსავალი                             |                       |                         |                          |
| წლის მოგება                                       | -                     | 101,718                 | <b>101,718</b>           |
| გარიგებები კომპანიის მფლობელებთან<br>განაწილებები |                       |                         |                          |
| დივიდენდები                                       | -                     | (6,235)                 | <b>(6,235)</b>           |
| <b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>        | <b>100</b>            | <b>240,661</b>          | <b>240,761</b>           |
| წლის სრული შემოსავალი                             |                       |                         |                          |
| წლის ზარალი                                       | -                     | (10,153)                | <b>(10,153)</b>          |
| გარიგებები კომპანიის მფლობელებთან<br>განაწილებები |                       |                         |                          |
| დივიდენდები                                       | -                     | (2,078)                 | <b>(2,078)</b>           |
| <b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>        | <b>100</b>            | <b>228,430</b>          | <b>228,530</b>           |

## **1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ**

შპს „თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია“ არის 2020 წლის 8 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (საიდენტიფიკაციო ნომერი 406312690). კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილია: ოთარ ჩხეიძის 10, 0186, თბილისი, საქართველო.

2020 წლის 16 აპრილს საქართველოს მთავრობამ შემოიღო ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფცია („ბაზრის კონცეფცია“) თავისი N246 დადგენილებით, რის მიხედვითაც ელექტროენერგიის მწარმოებელ კომპანიებს დაევადათ 2021 წლის 1 ივლისიდან მიწოდებისა და განაწილების ფუნქციების გაყოფა. 2021 წლის 1 ივლისიდან კომპანია არის ელექტროენერგიის მიმწოდებელი საყოფაცხოვრებო და ინდუსტრიული მომხმარებლებისთვის საქართველოში, თბილისში. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მაისის N236 დადგენილების თანახმად, კომპანიას გააჩნდა მიწოდების მომსახურების ვალდებულება 2023 წლის 1 იანვრამდე და შემდგომ, რიგი განკარგულებებით (მათ შორის, 2024 წლის 3 ოქტომბრით დათარიღებული უახლესი განკარგულება), მიმწოდებლის ვალდებულება გაგრძელდა 2026 წლის 1 ივლისამდე.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მთავარი მფლობელი (75.471%) არის „სილქ როუდ ჰოლდინგს ბი.ვი“ („მშობელი კომპანია“). მშობელ კომპანიას აკონტროლებს საჯარო სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო“ („საბოლოო მშობელი კომპანია“). საჯარო სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო“ კონტროლდება რუსეთის ფედერაციის მიერ. კომპანიის მეორე მფლობელია შპს „ენერჯი კომპანი“ (24.529%).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა მფლობელების მიერ. პარტნიორთა კრება, ჩვეულებრივ ტარდება საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის პირველ ნახევარში. მფლობელებს შეუძლიათ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა გამოშვების შემდეგ.

## **2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიამ ეს ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმ დაშვების საფუძველზე, რომ გააგრძელებს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ამ განსჯის გამოყენებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ეკონომიკური გარემო, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს და კომპანიის ფინანსური მდგომარეობა.

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლიური პერიოდისათვის და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული შესადარისი პერიოდისთვის.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი დებულებები

ქვემოთ ჩამოთვლილი სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისთვის.

#### (ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი სამუშაო ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი გარიგებების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

#### (ბ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

##### აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აისახება ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული აქტივის შეძენასთან. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებასთან, აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოქმნის მომენტში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ნაწილის შეცვლის ღირებულება ასახულია ამგვარი ობიექტის საბალანსო ღირებულების შემადგენლობაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპანია მიიღებს მომავალში ეკონომიკურ სარგებელს ამგვარი ნაწილისგან, ამასთან, მისი ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება.

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპანია მიიღებს ამ ხარჯებთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

ძირითადი საშუალებების მიმდინარე მოვლა-პატრონობის ხარჯები აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მათ წარმოშობისთანავე.

კომპანიის მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები, რომლებსაც აქვთ სასრული სასარგებლო ვადა, ფასდება თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი დებულებები (გაგრძელება)

#### (ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

##### ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთა აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების ობიექტისა და არამატერიალური აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო მოხმარების სავარაუდო ვადების განმავლობაში, რადგან ეს მეთოდი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივში ჩადებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების თავისებურებას. ფასდება

ცალკეული აქტივების მნიშვნელოვანი მუხლები და თუ მუხლის სასარგებლო ვადა განსხვავდება აქტივის სხვა მუხლების სასარგებლო ვადისგან, მაშინ ამ მუხლის ამორტიზაცია ხდება ცალკე.

ამორტიზაციის აღიარება ჩვეულებრივ ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგების შემადგენლობაში წრფივი მეთოდით, არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადის განმავლობაში, გუდვილის გარდა, მათი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომობის დღიდან, ვინაიდან ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივის მომავალი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების მოსალოდნელ სტრუქტურას.

სავარაუდო სასარგებლო მოხმარების ვადები მიმდინარე და შედარებითი პერიოდებისათვის წარმოდგენილია ქვევით:

|                                                 |                   |
|-------------------------------------------------|-------------------|
| აიტისთან (IT) დაკავშირებული და სხვა მოწყობილობა | 5 წელი            |
| საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი                | 5 - დან 10 წლამდე |
| სატრანსპორტო საშუალებები                        | 8 წელი            |
| არამატერიალური აქტივები                         | 5 წელი            |

ცვეთის/ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და საჭიროების მიხედვით კორექტირდება.

##### აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალებების ან მათი მნიშვნელოვანი კომპონენტის აღიარების შეწყვეტა ხდება მათი გასვლისას ან იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის გამოყენების ან გასვლისგან მოსალოდნელი არ არის მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. შემოსავალი ან ხარჯი, რომელიც წარმოიქმნება აქტივის აღიარების შეწყვეტით (გამოითვლება, როგორც სხვაობა გასვლიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდა.

#### (გ) იჯარა

##### თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ხელშეკრულების გაფორმების დროს კომპანია აფასებს, კონტრაქტი წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას. ეს შეფასება გულისხმობს განსჯას იმის თაობაზე, დამოკიდებულია თუ არა იგი კონკრეტულ აქტივზე, კომპანია იღებს თუ არა არსებითად სრულ ეკონომიკურ სარგებელს აქტივით სარგებლობისგან და აქვს თუ არა კომპანიას უფლება, წარმართოს აქტივის გამოყენება.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი დებულებები (გაგრძელება)

#### (გ) იჯარა (გაგრძელება)

კომპანიამ ასევე აირჩია ფასს 16-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომის გამოყენება მაქსიმუმ 12-თვიანი ვადის მქონე მოკლევადიანი იჯარებისთვის და ისეთი იჯარებისთვის, რომელთა საბაზისო (საიჯარო) აქტივი დაბალი ღირებულებისაა. კომპანია მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს გამარტივებული მეთოდით აღრიცხავს.

ასეთ ხელშეკრულებებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი უკავშირდება, იჯარის ვადაზე წრფივი დარიცხვით.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადას დამატებული ხელშეკრულების ვადის შესაძლო გაგრძელება. თუ იჯარის ხელშეკრულებას განუსაზღვრელი ვადა აქვს, იჯარის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების შესაძლო გაგრძელების ვადით.

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღით. აქტივის გამოყენების უფლების პირველადი შეფასება ხდება თავდაპირველი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- ▶ საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასების ღირებულება;
- ▶ საიჯარო გადახდები იჯარის დაწყების თარიღისთვის ან ამ თარიღამდე;
- ▶ (იჯარის წინასწარი გადახდა), შემცირებული მოიჯარისგან მიღებული შეღავათებით;
- ▶ მოიჯარის სავარაუდო დანახარჯები, დაკავშირებული საიჯარო აქტივის დემონტაჟთან, გადატანასა და აღდგენასთან, საიჯარო ხელშეკრულების პირობების თანახმად.

აქტივის გამოყენების უფლებას შემდგომში ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე ან საიჯარო ვადის ბოლო თარიღამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება. აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადა თანხვედრაშია ძირითადი საშუალებების ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადებთან.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი იჯარის დაწყების თარიღისთვის და დისკონტირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკიდან აღებული ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით, მიღებული შიდა პოლიტიკის შესაბამისად.

#### **შემდგომი შეფასება**

პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის მოდელის გამოყენებისას, კომპანია აფასებს აქტივის გამოყენების უფლებას თავდაპირველი თვითღირებულებით, მინუს დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, რომელიც დაკორექტირებულია საიჯარო ვალდებულების ხელახლა შესაფასებლად. აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა წარმოებს იჯარის ვადის ათვლის თარიღიდან საბაზისო აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის ამოწურვამდე.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი დებულებები (გაგრძელება)

#### (გ) იჯარა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას შემდეგნაირად აფასებს:

- ▶ მისი საბალანსო ღირებულების გაზრდა, რათა აისახოს დაირცხული პროცენტო საიჯარო ვალდებულებაზე;
- ▶ მისი საბალანსო ღირებულების შემცირება, რათა აისახოს გადახდილი იჯარა; და
- ▶ მისი საბალანსო ღირებულების ხელახლა შეფასება, რათა აისახოს საიჯარო ხელშეკრულებების გადაფასება ან მოდიფიკაცია ან ასახოს გადახდილი ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

გარდა ამისა, იჯარის ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ადგილი ექნება მოდიფიკაციას, იჯარის ვადის ცვლილებას, იჯარის გადახდების ცვლილებას (მაგალითად, მომავალი გადახდების ცვლილება, რომელიც წარმოიშვება ამგვარი საიჯარო გადახდების დასადგენად გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების შედეგად) ან ძირითადი აქტივის შეძენის ოფციის შეფასების ცვლილება.

კომპანია ხარჯებს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის სახით აღიარებს ფინანსური ხარჯებში, რომელსაც ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

#### (დ) ფინანსური ინსტრუმენტები

##### (i) ფინანსური აქტივები

##### *თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება*

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია მათი თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს-მოდელზე, რომლითაც ის ამ ფინანსურ აქტივებს მართავს. კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რასაც, იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახვით, ემატება გარიგების დანახარჯები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიდგომა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე (SPPI).

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი დებულებები (გაგრძელება)

#### (დ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება SPPI და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების შედეგად.

ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ვადიან დეპოზიტებს და გაცემულ სესხს.

#### შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა (სავალო ინსტრუმენტები) ყველაზე რელევანტურია კომპანიისთვის. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნეს მოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილზე დარიცხული პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი დებულებები (გაგრძელება)

#### (დ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

##### *აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა, ან რამდენად შეინარჩუნა, ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ისე, რომ ასახავდეს კომპანიის მიერ შენარჩუნებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება უმცირესით აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს თავისი ყველა ფინანსური აქტივისთვის ამორტიზებული ღირებულებით აღიარებს.

##### *სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება*

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის და რესტრუქტურირებული მოთხოვნებისთვის კომპანია მიმართავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულში მიღებულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი დებულებები (გაგრძელება)

#### (დ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

##### *სხვა ფინანსური აქტივები*

სხვა ფინანსურ აქტივებთან მიმართებით კომპანია იყენებს გაუფასურების სამეტაპიან მოდელს, რომელიც ეფუძნება საკრედიტო ხარისხის ცვლილებას თავდაპირველი აღიარების მომენტიდან.

ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის კრედიტ-გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირებულია ეტაპი 1-ზე. ფინანსურ აქტივებს, კლასიფიცირებული ეტაპი 1-ზე, აქვთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) შეფასებული, ისეთი ოდენობით, რომელიც უტოლდება არსებობის მანძილზე ECL-ის ნაწილის, გამოწვეული დეფოლტის მოვლენებით, რომლებიც შესაძლებელია წარმოიქმნას მომდევნო 12 თვის განმავლობაში, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვის ვადის დადგომამდე, თუ ის უფრო ხანმოკლეა (“12-თვიანი ECL”).

თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია გამოავლენს საკრედიტო რისკის (SICR) მნიშვნელოვან ზრდას, აქტივი გადადის მე-2 ეტაპზე და მისი ECL იზომება, როგორც არსებობის მანძილზე ECL, რომელიც არის კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი წინასწარი გადახდის გათვალისწინებით, ასეთის არსებობისას (“არსებობის მანძილზე ECL”). თუ კომპანია დაადგენს, რომ ფინანსური აქტივი კრედიტ-გაუფასურებულია, აქტივი გადაინაცვლებს მე-3 ეტაპზე და მისი ECL ფასდება, როგორც არსებობის მანძილზე ECL.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

#### (ii) ფინანსური ვალდებულებები

##### *თავდაპირველი აღიარება და შეფასება*

ფინანსური ვალდებულებები ფასს 9-ის შესაბამისად დაკლასიფიცირებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების, სესხების და გადასახდელი ანგარიშების სახით ან, როგორც წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს. კომპანია თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემთხვევაში, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით. ამას ემატება გარიგებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი დანახარჯები.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი დებულებები (გაგრძელება)

#### (დ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას (შენიშვნა 16).

#### აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

#### (ე) გადასახადები

##### (i) მოგების გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც ანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს-საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ჩაწერილი სხვა საოპერაციო ხარჯებში.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი დებულებები (გაგრძელება)

#### (ე) გადასახადები (გაგრძელება)

##### (ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებითი ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

#### (ვ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად კომპანიას დღეისათვის აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხის განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება ფინანსურ ხარჯად.

#### (ზ) შემოსავალი და სხვა შემოსვლები

##### (i) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის თუ მომსახურების სანაცვლოდ. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავალთან დაკავშირებულ გარიგებებში პრინციპალის სახით გამოდის, ვინაიდან, როგორც წესი, საქონელს ან მომსახურებას თვითონ აკონტროლებს მომხმარებლებისთვის გადაცემამდე. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმებიც.

##### *მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება*

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ადგენს, არსებობს თუ არა ხელშეკრულება მომხმარებელთან.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი დებულებები (გაგრძელება)

#### (ზ) შემოსავალი და სხვა შემოსვლები (გაგრძელება)

ხელშეკრულება მომხმარებელთა გაფორმდება ფასს 15-ის ფარგლებში, თუ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილდება:

- ▶ ხელშეკრულება დამტკიცებულია ხელშეკრულების მხარეების მიერ;
- ▶ შესაძლებელია გადასაცემ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით თითოეული მხარის უფლებების განსაზღვრა;
- ▶ შესაძლებელია გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის პირობების განსაზღვრა;
- ▶ ხელშეკრულებას აქვს კომერციული შინაარსი; და
- ▶ მოსალოდნელია საწარმოს მიერ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მისაღები ანაზღაურების მიღება.

კომპენსაციის ოდენობის მიღების ალბათობის შეფასებისას კომპანია მხედველობაში იღებს მყიდველის უნარს და განზრახვას, დროულად გადაიხადოს ანაზღაურება. ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანია შეიძლება მოელოდოს, რომ კონტრაგენტის მიერ მისთვის გადაცემული საქონლისთვის და/ან მომსახურებისთვის გადახდილი თანხა ხელშეკრულებაში მითითებულ ფასზე ნაკლები იქნება. ასეთ შემთხვევაში კომპანია წყვეტს, რომ შეუძლია მყიდველს შესთავაზოს ფასდათმობა და ასეთი ხელშეკრულება აკმაყოფილებს კრიტერიუმებს (ანაზღაურება ხელშეკრულების ფარგლებში, შემცირებული ფასდათმობით, მოსალოდნელია). ფასდათმობები და ფასდაკლებები ცვლადი ანაზღაურების ფორმებია, რომლებიც კომპანიამ უნდა შეაფასოს ხელშეკრულების დასრულებისთანავე და სახელშეკრულებო ფასიდან გამოქვითოს, რათა განსაზღვროს გარიგების ფასი. ამ მიზეზით, კომპანიამ აირჩია თავისი მომხმარებლების

კატეგორიები, რომლებისთვისაც კომპანიას არ აქვს კანონიერი უფლება შეწყვიტოს ელექტროენერგიის მიწოდება ან მისი ჩვეული პრაქტიკა კომპანიისთვის ფასის დათმობაზე.

#### **შესასრულებელი ვალდებულების იდენტიფიცირება**

ელექტროენერგიის გაყიდვა და მიწოდება წარმოადგენს მთელ რიგ გამიჯვნად საქონელს და/ან მომსახურებას, რომლებიც პრაქტიკულად იგივეა და მყიდველს გადაეცემა ერთი და იგივე სქემის მიხედვით, ვინაიდან, ფასს 15.23(ა)-ს თანახმად, (ა) მყიდველი ერთდროულად იღებს და მოიხმარს სარგებელს, რომელიც უკავშირდება კომპანიის შესასრულებელ ვალდებულებას მისი შესრულების პროცესში.

ელექტროენერგიის გაყიდვის ხელშეკრულებების მიხედვით, კომპანია ითვალისწინებს ელექტროენერგიის გადაცემას თითოეული ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც ერთ შესასრულებელ ვალდებულებას ფასს 15-ის 22(ბ) მუხლის თანახმად, ვინაიდან იგი სწევს რამდენიმე სხვადასხვა მომსახურებას, რომლებიც თითქმის ერთნაირია და გადასცემს მას მომხმარებელს ერთი და იმავე სქემის მიხედვით (ელექტროენერგია მომხმარებლებს მიეწოდება პერიოდის განმავლობაში (ყოველთვიურად) და ხელშეკრულების შესრულების შესაფასებლად გამოიყენება ერთი მეთოდი ელექტროენერგიის მიწოდების დროის მიხედვით). ამრიგად, ელექტროენერგიის გაყიდვის თითოეული ცალკეული ხელშეკრულება შეიცავს ერთ შესასრულებელ ვალდებულებას.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი დებულებები (გაგრძელება)

#### (ზ) შემოსავალი და სხვა შემოსვლები (გაგრძელება)

##### *გარიგების ფასის განსაზღვრა*

გარიგების ფასი არის თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. გარიგების ფასის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს წარსულში განხორციელებულ ჩვეულ ბიზნეს-პრაქტიკას. შემოსავლის სავარაუდო ოდენობა შეიძლება ნაკლები იყოს ხელშეკრულებაში მითითებულ ფასზე, რადგან კომპანიამ გადაწყვიტოს, რომ მას შეუძლია მყიდველების გარკვეული ჯგუფებისთვის ფასდათმობის შეთავაზება. მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით ანაზღაურების საექვო ნაწილი კომპანიის მიერ მიიჩნევა, როგორც ფასდათმობა. ფასდათმობის შესაბამისი მომხმარებლების იდენტიფიცირება ხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

##### *გარიგების ფასის განაწილება ხელშეკრულებების მიხედვით შესასრულებელ ვალდებულებებზე*

ფასის განაწილების მიზანია გარიგების ფასის გადანაწილება თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე იმ ოდენობით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებული საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანია არ ანაწილებს გარიგების ფასს შესასრულებელ ვალდებულებებზე და არ განსაზღვრავს ფასს თითოეული პროდუქტის ან მომსახურების ცალკეულ გაყიდვაზე, ვინაიდან, კომპანიის პრაქტიკის მიხედვით, თითოეული ხელშეკრულება შეიცავს ერთ შესასრულებელ ვალდებულებას.

##### *შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) საწარმო აკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას*

შემოსავლის აღიარება ხდება კონტროლის გადაცემისას, დროთა განმავლობაში. საწარმო შემოსავალს აღიარებს დროთა განმავლობაში, მომხმარებელი პარალელურად იღებს და მოიხმარს საწარმოს მიერ მიწოდებულ ყველა სარგებელს საწარმოს მიერ ვალდებულების შესრულების კვალდაკვალ. კომპანია გადასცემს კონტროლს ელექტროენერგიაზე პერიოდის განმავლობაში და, შესაბამისად, ასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას და აღიარებს შემოსავალს ამ პერიოდში.

#### (ii) სახელშეკრულებო ნაშთები

##### *სახელშეკრულებო აქტივები*

სახელშეკრულებო აქტივი არის საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის სანაცვლოდ მათი ღირებულების მიღების უფლება. თუ კომპანია მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება მიღებული პირობითი ღირებულებისთვის. კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი დებულებები (გაგრძელება)

#### (ზ) შემოსავალი და სხვა შემოსვლები (გაგრძელება)

##### *სავაჭრო დებიტორული დავალიანება*

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება, თუ ანაზღაურების თანხა უპირობოდ არის მისაღები მომხმარებლისგან (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

##### *სახელშეკრულებო ვალდებულებები*

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, თუ მომხმარებლისგან მიიღება გადახდა ან გადახდის ვადა მოდის (რომელიც უფრო ადრე დგება), ვიდრე კომპანია გადასცემს მას შესაბამის საქონელს ან მომსახურებას. სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება შემოსავლად ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას (ანუ კონტროლს შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებაზე მომხმარებელს გადასცემს).

#### (iii) საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში პროცენტებიდან მიღებული შემოსავლების ან ხარჯების აღრიცხვა ხორციელდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (EIR), რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდიანების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო არსებობის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

#### (თ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – მეთოდები, რომელთათვისაც ყველაზე დაბალი დონის საწყისი მონაცემების განსაზღვრა, რომლებიც აუცილებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, არ არის დაკვირვებადი.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი დებულებები (გაგრძელება)

#### (თ) სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

#### (ი) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ;
- ▶ ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ განკუთვნილია ძირითადად გაყიდვისთვის;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

#### 4. არსებითი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების გაცხადებულ ოდენობებზე და ასევე პირობითი ვალდებულებების შესახებ განმარტებებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

##### (ა) მოსაზრებები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში, ხელმძღვანელობამ გააკეთა შემდეგი მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

##### პრინციპალის და აგენტის გამიჯვნა

როდესაც კომპანია მოქმედებს, როგორც ელექტროენერგიის მიმწოდებელი, საჭიროა განსჯის გამოყენება, რათა განისაზღვროს კომპანია ამ შემთხვევებში პრინციპალად გამოდის, თუ აგენტად. ძირითადი განსჯა ისაა, რომ განაწილების და გადაცემის მომსახურებები არ არის გამოყოფადი, როგორც შესასრულებელი ვალდებულება, ელექტროენერგიის პროდუქტის საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდების ინტეგრირებული მომსახურებიდან. აქედან გამომდინარე, კომპანიამ დაასკვნა, რომ მოქმედებს, როგორც პრინციპალი და ამიტომ ყველა განაწილებისა და გადაცემის მომსახურება, რომელზეც საბოლოო მომხმარებლებს ქვითრებს გამოუწერს, ელექტროენერგიის მიწოდებიდან მიღებული შემოსავლის ფარგლებში, წარმოდგენილია მთლიანი (ბრუტო) სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

##### (ბ) შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით გაკეთებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან

გარემოებებში მომხდარი ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც კომპანიის კონტროლს არ ექვემდებარება. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

##### მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (ECL)

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გადაუხდელობის ობიექტური მტკიცებულება. კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვს ECL-ის არსებობის მანძილზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

კომპანიის შეფასებით, ფინანსურ დაწესებულებებში განთავსებულ ფულად სახსრებსა და მათი ეკვივალენტებისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებითი არ იყო.

#### 4. არსებითი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

##### (ბ) შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ შეაფასა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 5,019 ლარისა და 5,357, ლარის ოდენობით შესაბამისად, რაც დებიტორული დავალიანების და პროცენტის სასესხო მოთხოვნის შესაძლო რეზერვის საუკეთესო შეფასებაა (შენიშვნა 13).

#### ელექტროენერგიის გაყიდვები, რომლებზეც ქვითრები არ გამოწერილა

გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის დარიცხვის შეფასება ხდება, რათა აღირიცხოს პერიოდი, რომლის განმავლობაში ქვითრები არ გამოწერილა, მომხმარებლის მრიცხველის ბოლო წაკითხვიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღამდე. ელექტროენერგიის გაყიდვები, რომლებზეც ქვითრები არ გამოწერილა, დაირიცხება ყოველთვე ქვითრების გამოწერის ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით და მატერიალურობის შემთხვევაში, კორექტირდება სეზონის მიხედვით.

#### 5. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღებას აპირებს ასეთის არსებობის და არსებითობის შემთხვევაში, მათი ძალაში შესვლისთანავე.

#### ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა – ცვლილებები ბასს 21-ში

2023 წლის აგვისტოში, ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 21-ში, „სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტები“, რათა განემარტა, თუ როგორ უნდა შეაფასოს ორგანიზაციამ, არის თუ არა ვალუტა გაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ გაცვლითი კურსი, როდესაც არ არსებობს ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა. ცვლილებები ასევე მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს გაიგონ, თუ როგორ მოქმედებს ან შეიძლება იმოქმედოს, სხვა ვალუტაში კონვერტირების შეუძლებლობამ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ცვლილებები ძალაში შევა წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება, მაგრამ ეს უნდა იყოს გამჟღავნებული. საწარმოს არ შეუძლია გადაიანგარიშოს შესადარისი ინფორმაცია.

კომპანია არ მოელის, რომ ცვლილებები მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 5. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

### ფასს 18 ინფორმაციის წარდგენა და გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში

2024 წლის აპრილში, ფასს-ის საბჭომ გამოსცა ფასს 18, რომელიც ცვლის ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18 აწესებს ახალ მოთხოვნებს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარდგენისთვის, განსაზღვრული საბოლოო და შუალედური ჯამების ჩათვლით.

გარდა ამისა, კომპანიებს მოეთხოვებათ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ყველა შემოსავალი და ხარჯი დააკლასიფიცირონ ხუთიდან ერთ-ერთ კატეგორიად: საოპერაციო, საინვესტიციო, ფინანსური, მოგების გადასახადი და შეწყვეტილი ოპერაციები, რომელთაგან პირველი სამი ახალია.

იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული ახალი ეფექტურობის მაჩვენებლების, შემოსავლებისა და ხარჯების შუალედური ჯამების გამჟღავნებას და მოიცავს ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგაციისა და დეზაგრეგაციისთვის, პირველადი ფინანსური ანგარიშგების (PFS) და შენიშვნების იდენტიფიცირებული "როლების" საფუძველზე.

გარდა ამისა, მცირე ცვლილებები შევიდა ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება“, რომელიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას "მოგება ან ზარალიდან" "საოპერაციო მოგებამდე ან ზარალამდე" და დივიდენდებიდან და პროცენტებიდან ფულადი ნაკადების კლასიფიკაციის ირგვლივ არჩევანის შესაძლებლობის გაუქმებას. გარდა ამისა, არსებობს არაპირდაპირი ცვლილებები რამდენიმე სხვა სტანდარტთან დაკავშირებით.

ფასს 18 და სხვა სტანდარტების ცვლილებები მოქმედებს 2027 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, მაგრამ უფრო ადრე გამოყენება დასაშვებია და უნდა იყოს გამჟღავნებული. ფასს 18 გამოყენებული იქნება რეტროსპექტულად.

ამჟამად კომპანია მუშაობს პირველად ფინანსურ ანგარიშგებაზე და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებზე არსებული ყველა ცვლილების გავლენის იდენტიფიცირებაზე.

## 6. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

|                                                                     | 2024           | 2023           |
|---------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| კომერციული და სამრეწველო სექტორისთვის ელექტროენერგიის მიწოდება      | 448,102        | 449,268        |
| საყოფაცხოვრებო სექტორისთვის ელექტროენერგიის მიწოდება                | 200,359        | 214,762        |
| სახელმწიფო სექტორისთვის ელექტროენერგიის მიწოდება                    | 38,571         | 39,882         |
| <b>სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან</b> | <b>687,032</b> | <b>703,912</b> |

საქართველოს საზღვრებში ელექტროენერგიის რეალიზაციის ტარიფებს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი). კომპანიის საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის დადგენილი გასაყიდი ტარიფის დიფერენცირება დამოკიდებულია ქსელში ჩართვის ძაბვაზე, ხოლო საყოფაცხოვრებო სექტორის შემთხვევაში – თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე.

## 6. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

სემეკის N33 დადგენილებაში, 2021 წლის 29 ივნისით დათარიღებული ცვლილებების შესაბამისად, განისაზღვრა გაყიდვის ტარიფები 2021 წლის 1 ივლისიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის და შემდგომ, რიგი დადგენილებებით, უცვლელი დარჩა 2024 წლის 1 იანვრამდე, საიდანაც ტარიფები შემცირდა (2024 წლის 24 დეკემბრის ბოლო განკარგულების ჩათვლით) ყველა სექტორში და განისაზღვრა შემდეგნაირად (ქვემოთ მოცემულ შენიშვნაში ტარიფები მითითებული არ არის ათასობით ლარში და განსაზღვრავს 1 კვტ/სთ ელექტროენერგიის ტარიფს):

| მიერთების ძაგბა         | მომხმარება                       | სექტორი                                | 2024 წლის 1<br>იანვარი | 2021 წლის 1<br>ივლისი     |
|-------------------------|----------------------------------|----------------------------------------|------------------------|---------------------------|
|                         |                                  |                                        | 2025 წლის 1<br>ივლისი  | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|                         |                                  |                                        | ლარი                   | ლარი                      |
| 6,000/10,000<br>ვოლტი   |                                  | საყოფაცხოვრებო და<br>არასაყოფაცხოვრებო | 0.22582                | 0.25124                   |
| 35,000/110,000<br>ვოლტი |                                  | საყოფაცხოვრებო და<br>არასაყოფაცხოვრებო | 0.20653                | 0.23195                   |
| 220/380 ვოლტი           |                                  | საყოფაცხოვრებო და<br>არასაყოფაცხოვრებო | 0.25366                | 0.27908                   |
| 220/380 ვოლტი           | პირველი 100 კვტ/სთ-<br>თვის      | საყოფაცხოვრებო                         | 0.12747                | 0.15289                   |
| 220/380 ვოლტი           | 101 კვტ/სთ-დან 300<br>კვტ/სთ-მდე | საყოფაცხოვრებო                         | 0.16147                | 0.18689                   |
| 220/380 ვოლტი           | 300 კვტ/სთ-ზე ზემოთ              | საყოფაცხოვრებო                         | 0.19947                | 0.22489                   |

### სახელშეკრულებო ნაშთები

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

|                                              | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|----------------------------------------------|----------------------|----------------------|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 13) | 62,539               | 62,519               |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები                 | 7,043                | 5,745                |

სავაჭრო დებიტორული დავალიანება შედგება მოკლევადიანი სავაჭრო დებიტორული დავალიანებისგან. მოკლევადიან სავაჭრო დებიტორული დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და მათი ვადა, როგორც წესი, 30 დღეა.

სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს მომხმარებლებისგან მიღებულ ანაზრებს.

### მიღებული დეპოზიტები

სემეკის 2020 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილება კომპანიას უფლებას აძლევს მოითხოვოს დეპოზიტები არასაყოფაცხოვრებო სექტორის მომხმარებლებისგან, რომელთაც ბოლო 12 თვის განმავლობაში გადახდის ცუდი ისტორია აქვთ, ყოველთვიურად დარიცხული საშუალო ხარჯის ოდენობით. ამ დეპოზიტების უკან მოთხოვნა შესაძლებელია გადახდის ისტორიის გაუმჯობესების შემდეგ.

## 6. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

### მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს მომხმარებლების წინასწარ გადახდებს, რომელთა ათვისება ხდება ელექტროენერგიის მოხმარების პროცესში. მიღებული ავანსების შემთხვევაში, კომპანია მოელის ყველა თანხის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახვას თავისი შესასრულებელი მოვალეობის პირობის დაკმაყოფილებიდან ერთი წლის ვადაში.

## 7. შესყიდული ელექტროენერგია და მასთან დაკავშირებული ხარჯები

|                                                                                        | 2024           | 2023           |
|----------------------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| შესყიდული ელექტროენერგია*                                                              | 364,096        | 281,384        |
| განაწილების მომსახურების ოპერატორი (ა)                                                 | 215,849        | 209,277        |
| ელექტროენერგიის გადაცემა (ბ)                                                           | 89,794         | 78,220         |
| სარეზერვო სიმძლავრის გადასახადი ელექტროსისტემის<br>კომერციული ოპერატორის (ესკო) მიმართ | 44,204         | 42,862         |
| სემეკის რეგულირების საფასური                                                           | 1,144          | 1,249          |
| ესკოს მომსახურების საფასური                                                            | 606            | 558            |
| <b>სულ შესყიდული ელექტროენერგია და მასთან დაკავშირებული<br/>ხარჯები</b>                | <b>715,693</b> | <b>613,550</b> |

\* მოიცავს შესყიდვებს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან (შენიშვნა 19).

კომპანიის საქმიანობის ტერიტორიაზე განაწილების მომსახურებას სწევს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო, სს „თელასი“ – განაწილების მომსახურების ოპერატორი (შენიშვნა 19).

### (ა) განაწილების მომსახურების ოპერატორი

სემეკის N33 დადგენილებაში 2021 წლის 29 ივნისით დათარიღებული ცვლილებების შესაბამისად, განაწილების სისტემის ოპერატორისთვის ტარიფები 2021 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის უცვლელი დარჩა. 2023 წლის 30 ნოემბრის №33 დადგენილებაში შეტანილი ბოლო ცვლილებების მიხედვით, ტარიფები შემცირდა ყველა სექტორში და არის შემდეგი (ქვემოთ მოცემულ შენიშვნაში ტარიფები მითითებული არ არის ათასობით ლარით და აღნიშნავს ტარიფს 1 კვტ/სთ ელექტროენერგიაზე):

**7. შესყიდული ელექტროენერგია და მასთან დაკავშირებული ხარჯები (გაგრძელება)**

| მიერთების ძაბვა    | მოხმარება                  | სექტორი                             | 2024 წლის 1 იანვარი | 2021 წლის 1 ივლისი     |
|--------------------|----------------------------|-------------------------------------|---------------------|------------------------|
|                    |                            |                                     | 2026 წლის 1 იანვარი | 2023 წლის 31 დეკემბერი |
|                    |                            |                                     | ლარი                | ლარი                   |
| 6000/10000 ვოლტი   |                            | საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო | 0.03857             | 0.04324                |
| 35000/110000 ვოლტი |                            | საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო | 0.02303             | 0.02411                |
| 220/380 ვოლტი      |                            | საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო | 0.07859             | 0.08172                |
| 220/380 ვოლტი      | პირველი 100 კვტ/სთ-ისთვის  | საყოფაცხოვრებო                      | 0.07859             | 0.08172                |
| 220/380 ვოლტი      | 101 კვტ/სთ-დან 300 კვტ-მდე | საყოფაცხოვრებო                      | 0.07859             | 0.08172                |
| 220/380 ვოლტი      | 300 კვტ/სთ-ზე მეტისთვის    | საყოფაცხოვრებო                      | 0.07859             | 0.08172                |

**(ბ) ელექტროენერგიის გადაცემა**

სემეკ-ის №33 დადგენილებაში 2021 წლის 29 ივნისს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, კომპანიის მიერ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ გადასახდელი ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი განისაზღვრა 0,02644 ლარი კვტ/სთ-ზე 2021 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, ხოლო 2024 წლის განმავლობაში 0,02813 ლარი კვტ/სთ-ზე.

**8. სხვა საოპერაციო ხარჯები**

|                                                 | 2024         | 2023         |
|-------------------------------------------------|--------------|--------------|
| ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯი                     | 706          | 738          |
| კლიენტთა მომსახურების ხარჯი                     | 640          | 739          |
| საქველმოქმედო ხარჯები                           | 454          | -            |
| სამგზავრო და წარმომადგენლობითი ხარჯები          | 279          | 170          |
| კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი               | 220          | 201          |
| აუდიტის და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები | 199          | 130          |
| მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები                 | 29           | 33           |
| ზარალი იჯარის შეწყვეტიდან                       | -            | 93           |
| სხვა                                            | 364          | 401          |
| <b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯები</b>              | <b>2,891</b> | <b>2,505</b> |

**9. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური დანახარჯები**

|                                                               | შენიშვნა | 2024          | 2023          |
|---------------------------------------------------------------|----------|---------------|---------------|
| <b>ფინანსური შემოსავალი</b>                                   |          |               |               |
| საპროცენტო შემოსავლები დეპოზიტებზე                            | 14       | 23,761        | 20,892        |
| საპროცენტო შემოსავლები საბანკო ანგარიშების ნაშთებზე           | 14       | 7,260         | 4,729         |
| საპროცენტო შემოსავლები დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხიდან | 12, 19   | 2,629         | 919           |
| საპროცენტო შემოსავლები შეზღუდულ ნაშთზე ბანკში                 | 14       | -             | 757           |
| <b>სულ ფინანსური შემოსავალი</b>                               |          | <b>33,650</b> | <b>27,297</b> |
| <b>ფინანსური დანახარჯები</b>                                  |          |               |               |
| საპროცენტო ხარჯები საბანკო გარანტიებზე                        |          | (598)         | (92)          |
| საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებებზე                     | 11       | (114)         | (135)         |
| <b>სულ ფინანსური დანახარჯები</b>                              |          | <b>(712)</b>  | <b>(227)</b>  |

**10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები**

|                                       | აიტისთან (IT) დაკავშირებული და სხვა მოწყობილობა | სატრანსპორტო საშუალებები | საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი | არამატერიალური აქტივები | სულ   |
|---------------------------------------|-------------------------------------------------|--------------------------|----------------------------------|-------------------------|-------|
| <b>ღირებულება</b>                     |                                                 |                          |                                  |                         |       |
| 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით      | 1,031                                           | 446                      | 317                              | 477                     | 2,271 |
| შემოსვლები                            | 26                                              | -                        | 120                              | 405                     | 551   |
| გასვლები                              | -                                               | -                        | -                                | (110)                   | (110) |
| 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით   | 1,057                                           | 446                      | 437                              | 772                     | 2,712 |
| შემოსვლები                            | 48                                              | -                        | 31                               | 349                     | 428   |
| გასვლები                              | (6)                                             | -                        | (2)                              | -                       | (8)   |
| 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით   | 1,099                                           | 446                      | 466                              | 1,121                   | 3,132 |
| <b>დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია</b> |                                                 |                          |                                  |                         |       |
| 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით      | 147                                             | 70                       | 34                               | 178                     | 429   |
| დარიცხულია წლის განმავლობაში          | 211                                             | 55                       | 36                               | 95                      | 397   |
| გასვლები                              | -                                               | -                        | -                                | (110)                   | (110) |
| 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით   | 358                                             | 125                      | 70                               | 163                     | 716   |
| დარიცხულია წლის განმავლობაში          | 209                                             | 56                       | 57                               | 109                     | 431   |
| გასვლები                              | (4)                                             | -                        | (1)                              | -                       | (5)   |
| 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით   | 563                                             | 181                      | 126                              | 272                     | 1,142 |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>    |                                                 |                          |                                  |                         |       |
| 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით   | 699                                             | 321                      | 367                              | 609                     | 1,996 |
| 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით   | 536                                             | 265                      | 340                              | 849                     | 1,990 |

## 11. აქტივის გამოყენების უფლება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ინფორმაცია აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულებისა და მათი მოძრაობის შესახებ 2024 და 2023 წლებში:

|                                                                        | შენიშვნები   |
|------------------------------------------------------------------------|--------------|
| <b>ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>                          | <b>1,998</b> |
| შემოსვლები                                                             | 1,735        |
| მოდიფიკაცია                                                            | 7            |
| აქტივით გამოყენების უფლების აღიარების შეწყვეტა *                       | (1,501)      |
| <b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>                       | <b>2,239</b> |
| შემოსვლები                                                             | 98           |
| მოდიფიკაცია                                                            | 43           |
| <b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>                       | <b>2,380</b> |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>                                                 |              |
| <b>ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>                          | <b>922</b>   |
| დარიცხულია წლის განმავლობაში                                           | 734          |
| აქტივის გამოყენების უფლების აღიარების შეწყვეტა *                       | (876)        |
| <b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>                       | <b>780</b>   |
| დარიცხულია წლის განმავლობაში                                           | 775          |
| <b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>                       | <b>1,555</b> |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>1,459</b> |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>825</b>   |

\*2023 წლის განმავლობაში აქტივის გამოყენების უფლების აღიარების გაუქმება იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად ხდება.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია კომპანიის ადმინისტრაციული ოფისით და 6 სერვისცენტრის სახით. კომპანიის შეფასებით, საიჯარო ვადა შეადგენს სამ წელს, ვინაიდან არსებობს მოლოდინი იმისა, რომ სამი წლის შემდეგ იჯარა არ გაგრძელდება. კომპანიის მიერ გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი ეყრდნობა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს.

|                                                   | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|---------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| <b>იჯარა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში</b> |                      |                      |
| <b>აქტივები</b>                                   |                      |                      |
| აქტივის გამოყენების უფლება: შენობა                | 825                  | 1,459                |
| <b>სულ</b>                                        | <b>825</b>           | <b>1,459</b>         |
| <b>ვალდებულებები</b>                              |                      |                      |
| საიჯარო ვალდებულებები, გრძელვადიანი ნაწილი        | 306                  | 809                  |
| საიჯარო ვალდებულებები, მოკლევადიანი ნაწილი        | 650                  | 764                  |
| <b>სულ საიჯარო ვალდებულებები</b>                  | <b>956</b>           | <b>1,573</b>         |

## 11. აქტივის გამოყენების უფლება (გაგრძელება)

| იჯარა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში                 | 2024  | 2023  |
|------------------------------------------------------|-------|-------|
| <b>საოპერაციო დანახარჯები</b>                        |       |       |
| აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა                    | (775) | (734) |
| ზარალი იჯარის შეწყვეტისას                            | -     | (93)  |
| <b>ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები</b>     |       |       |
| საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე (შენიშვნა 9) | (114) | (135) |

საიჯარო ხელშეკრულებებით ფულადი სახსრების მთლიანმა გადინებამ 2024 წელს შეადგინა 1,024 ლარი (2023 წელს: 872 ლარი).

## 12. გაცემული სესხი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ინფორმაცია კომპანიის პროცენტიანი სასესხო მოთხოვნების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია კომპანიის საკრედიტო რისკთან და გაუფასურების ზარალთან დაკავშირებით იხილეთ შენიშვნა 18.

| გალუბა                                  | ნომინალური<br>საპროცენტო<br>განაკვეთი | დაფარვის<br>წელი | 31 დეკემბერი 2024        |                         | 31 დეკემბერი 2023        |                         |
|-----------------------------------------|---------------------------------------|------------------|--------------------------|-------------------------|--------------------------|-------------------------|
|                                         |                                       |                  | ნომინალური<br>ღირებულება | საბალანსო<br>ღირებულება | ნომინალური<br>ღირებულება | საბალანსო<br>ღირებულება |
| დაკავშირებულ<br>მხარეზე                 | ლარი                                  | 13,8%            | 31<br>დეკემბერი<br>2025  |                         |                          |                         |
| გაცემული სესხი                          |                                       |                  | 19,000                   | 16,566                  | 19,000                   | 16,566                  |
| <b>სულ პროცენტიანი სასესხო მოთხოვნა</b> |                                       |                  | <b>19,000</b>            | <b>16,566</b>           | <b>19,000</b>            | <b>16,566</b>           |

2024 წლის დეკემბერში კომპანიამ ხელი მოაწერა ცვლილებას, რომლის მიხედვითაც გაცემული სესხი გაგრძელდა 1 წლით. კომპანიამ დააფიქსირა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პროცენტიან სესხზე ნული ლარის ოდენობით 2024 წელს (2023: 2,434 ლარი).

ქვემოთ წარმოდგენილია ცვლილებები პროცენტიანი სასესხო მოთხოვნის საბალანსო ღირებულებაში:

|                                                        | შენიშვნა | 2024          | 2023          |
|--------------------------------------------------------|----------|---------------|---------------|
| <b>საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით</b>     |          | <b>16,566</b> | <b>10,117</b> |
| დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი                    |          | -             | 19,000        |
| შემოსულობები დაკავშირებულ მხარეზე გაცემული<br>სესხიდან |          | -             | (10,000)      |
| წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი                   | 9        | 2,629         | 919           |
| წლის განმავლობაში მიღებული პროცენტი                    |          | (2,629)       | (1,036)       |
| ECL-ის დარიცხვები პროცენტიან სასესხო მოთხოვნაზე        | 13       | -             | (2,434)       |
| <b>საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>  |          | <b>16,566</b> | <b>16,566</b> |

### 13. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

|                                                                       | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|-----------------------------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| კომერციული და სამრეწველო სექტორი                                      | 40,204               | 37,510               |
| საყოფაცხოვრებო სექტორი                                                | 21,008               | 23,702               |
| სახელმწიფო სექტორი                                                    | 3,912                | 4,230                |
| გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (ა)                 | (2,585)              | (2,923)              |
| <b>სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში</b> | <b>62,539</b>        | <b>62,519</b>        |
| მესამე მხარის დებიტორული დავალიანება (ბ)                              | 1,785                | 1,606                |
| <b>სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში</b> | <b>64,324</b>        | <b>64,125</b>        |
| დარიცხული პროცენტები (გ)                                              | 180                  | 1,029                |
| წინსწრებით გადახდები                                                  | 23                   | 22                   |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება</b>                     | <b>64,527</b>        | <b>65,176</b>        |

#### (ა) სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

სავაჭრო დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა. ზარალის ანარიცხების დარიცხვა (ხარჯი), სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისათვის, 2024 და 2023 წლებისათვის შეადგენდა 1,338 ლარს და 1,502 ლარს, შესაბამისად.

ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოძრაობა 2024 და 2023 წლებში შეადგენს:

|                                                                  | სავაჭრო და სხვა<br>დებიტორული<br>დავალიანება | პროცენტიანი<br>სასესხო<br>მოთხოვნა | სულ          |
|------------------------------------------------------------------|----------------------------------------------|------------------------------------|--------------|
| <b>ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის</b>                             | <b>3,051</b>                                 | -                                  | <b>3,051</b> |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღდგენა,<br>წმინდა                 | (128)                                        | -                                  | (128)        |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დარიცხვა ,<br>წმინდა (შენიშვნა 12) | -                                            | 2,434                              | 2,434        |
| <b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის</b>                          | <b>2,923</b>                                 | <b>2,434</b>                       | <b>5,357</b> |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღდგენა,<br>წმინდა                 | (338)                                        | -                                  | (338)        |
| <b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის</b>                          | <b>2,585</b>                                 | <b>2,434</b>                       | <b>5,019</b> |

#### (ბ) მესამე მხარის დებიტორული დავალიანება

იგი ძირითადად წარმოადგენს თბილისის მერიის დებიტორულ დავალიანებებს სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში. პროგრამაში ჩართული იყო 58,989 აბონენტი, რომლებიც შეტანილია ბალანსში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ამ შენიშვნაში მომხმარებელთა რაოდენობა არ არის მითითებული ათასებში).

### 13. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

#### (გ) დარიცხული პროცენტი

დარიცხული პროცენტი წარმოადგენს დეპოზიტებზე დარიცხულ საპროცენტო მოთხოვნას, რომელიც უნდა გადაიხადონ ბანკებმა დეპოზიტის ვადის ამოწურვისას. დეპოზიტებს საშუალოდ ერიცხება 8,5%-დან 13,6%-მდე წელიწადში (შენიშვნა 14).

#### (დ) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაზე

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გაუფასურების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

| 2024 წლის 31 დეკემბერი                   | მიმდინარე |            |             |                |       |
|------------------------------------------|-----------|------------|-------------|----------------|-------|
|                                          | <60 დღე   | 60-120 დღე | 120-180 დღე | 180 დღეზე მეტი |       |
| <b>დეფოლტის დროს მოსალოდნელი მთლიანი</b> |           |            |             |                |       |
| საბალანსო ღირებულება, სულ                | 60,607    | 2,926      | 549         | 233            | 809   |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი             | 28        | 1,164      | 393         | 191            | 809   |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, %          | 0%        | 40%        | 72%         | 82%            | 100%  |
| <hr/>                                    |           |            |             |                |       |
| 2023 წლის 31 დეკემბერი                   | მიმდინარე |            |             |                |       |
|                                          | <60 დღე   | 60-120 დღე | 120-180 დღე | 180 დღეზე მეტი |       |
| <b>დეფოლტის დროს მოსალოდნელი მთლიანი</b> |           |            |             |                |       |
| საბალანსო ღირებულება, სულ                | 61,699    | 1,447      | 686         | 366            | 1,244 |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი             | 67        | 800        | 506         | 306            | 1,244 |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, %          | 0%        | 55%        | 74%         | 84%            | 100%  |

### 14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და ვადიანი დეპოზიტები

#### (ა) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

|                                                                  | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|------------------------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| მოთხოვნამდე დეპოზიტები                                           | 89,688               | 143,809              |
| ნაშთები საბანკო ანგარიშებზე                                      | 68,167               | 94,498               |
| კორპორატიული ბარათები                                            | 17                   | 4                    |
| <b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური</b>       |                      |                      |
| <b>მდგომარეობის და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებში</b> | <b>157,872</b>       | <b>238,311</b>       |

მოთხოვნამდე დეპოზიტები და ნაშთები საბანკო ანგარიშებზე განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნამდე დეპოზიტებში შედის მოთხოვნამდე დეპოზიტები საქართველოს ბანკში 69,688 ლარის ოდენობით და ვადიანი დეპოზიტი ქართუ ბანკში 20,000 ლარის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ ვადიანი დეპოზიტის დაფარვის ვადა სამ თვეზე მეტია შეძენის თარიღიდან, კომპანიას აქვს ცალმხრივი უფლება გამოიხმოს დეპოზიტი შეტყობინების მიწოდებიდან რამდენიმე დღეში. შესაბამისად, ეს ვადიანი დეპოზიტები კლასიფიცირებულია მათი ბუნებიდან გამომდინარე, როგორც მოთხოვნამდე დეპოზიტები.

#### 14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და ვადიანი დეპოზიტები (გაგრძელება)

##### (ა) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გაგრძელება)

საშუალოდ, მოთხოვნამდე დეპოზიტებზე და საბანკო ნაშთებზე წლიური პროცენტი 8,5%-დან 13,6%-მდეა.

##### (ბ) ვადიანი დეპოზიტები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს 92,000 ლარის ოდენობის ვადიანი დეპოზიტები ბაზის ბანკში. ამ დეპოზიტების დაფარვის ვადა არის სამი თვეზე მეტი შემენის თარიღიდან და კომპანიას არ აქვს ცალმხრივი უფლება გამოიხმოს დეპოზიტები შეტყობინების მიღებიდან რამდენიმე დღეში, მნიშვნელოვანი ჯარიმების დაკისრების ან პროცენტის დაკარგვის გარეშე. ვადიანი დეპოზიტების წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11.5%.

საპროცენტო შემოსავალმა დეპოზიტებზე და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებზე 2024 წელს შეადგინა 31,021 ლარი.

#### 15. საკუთარი კაპიტალი

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელების შესახებ ინფორმაცია ასე გამოიყურება:

|                           | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|---------------------------|----------------------|----------------------|
| სილქ როუდ ჰოლდინგს ბი.ვი. | 75.47%               | 75.47%               |
| შპს „ენერჯი კომპანი“      | 24.53%               | 24.53%               |
| <b>სულ</b>                | <b>100.00%</b>       | <b>100.00%</b>       |

##### (ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში მითითებული კაპიტალის ნომინალურ რაოდენობას. მფლობელებმა სრული შენატანი განახორციელეს კომპანიის საწესდებო კაპიტალში კომპანიის წესდების თანახმად.

##### (ბ) დივიდენდები

2024 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 2,078 ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) (2023: 6,235 ლარი). კომპანიამ გადაიხადა მოგების გადასახადი 277 ლარის და 830 ლარის ოდენობით და აღიარებული იქნა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „მოგების გადასახადის ხარჯი“ 2024 და 2023 წლებში, შესაბამისად. კომპანიის მოქმედი გადასახადის განაკვეთი არის მოგების გადასახადის განაკვეთი ქართული კომპანიებისთვის 15%-ის ოდენობით.

## 16. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

|                                                                                | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|--------------------------------------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ელექტროენერგიის მომწოდებლების მიმართ (ა)       | 51,105               | 32,380               |
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანება განაწილების მომსახურების ოპერატორის მიმართ (ბ) | 26,021               | 23,786               |
| ელექტროენერგიის გადაცემასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება             | 9,005                | 7,398                |
| სემეკისთვის გადასახდელი რეგულირების საფასური                                   | 115                  | 216                  |
| ესკოსთვის გადასახდელი მომსახურების საფასური                                    | 72                   | 62                   |
| სხვა (გ)                                                                       | 3,078                | 2,577                |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება</b>                             | <b>89,396</b>        | <b>66,419</b>        |

### (ა) სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ელექტროენერგიის მომწოდებლების მიმართ

ელექტროენერგიის ნაწილის შესყიდვა ხდება საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან. დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 19.

### (ბ) განაწილების მომსახურება

ბაზრის კონცეფციის მიხედვით, ელექტროენერგიის განაწილებისთვის კომპანია იყენებს გამანაწილებელი ორგანიზაციის ქსელს, რომელიც კომპანიის საქმიანობის არეალში არის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო – სს „თელასი“. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 19.

### (გ) სხვა კრედიტორული დავალიანება

სხვა კრედიტორული დავალიანება ძირითადად მოიცავს წლიური პრემიის გადასახდელს კომპანიის შიდა პოლიტიკის შესაბამისად.

## 17. წმინდა საგადასახადო დავალიანება

|                                            | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|--------------------------------------------|----------------------|----------------------|
| გადასახდელი დღგ                            | 7,148                | 7,565                |
| ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი    | 634                  | 555                  |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები            | 111                  | 98                   |
| გადასახდელი მოგების გადასახადი             | -                    | 830                  |
| <b>სულ წმინდა საგადასახადო დავალიანება</b> | <b>7,893</b>         | <b>9,048</b>         |

## 18. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია საქმიანობისას აწყდება ფინანსურ რისკებს (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები) და იურიდიულ რისკებს. კომპანია აგრძელებს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის სერვისების გაუმჯობესებას. კომპანიის ამჟამინდელი ღონისძიებები, მათ შორის საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ კონტროლი და გაუმჯობესებები შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ფინანსური, ოპერატიული და სამართლებრივი რისკები, როგორც ახლა, ისე მომავალში.

### (ა) საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარე ვერ შეძლებს დავალიანების დროულად და სრული მოცულობით გადახდას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად აყენებს „კომპანიას“ საკრედიტო რისკის ქვეშ, ძირითადად, შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან, ვადიანი დეპოზიტებისა და გაცემული სესხისგან. სემეკის 2021 წლის 28 ივნისით დათარიღებული №19 დადგენილების თანახმად, განაწილების მომსახურების ოპერატორი ვალდებულია, ქსელიდან ჩახსნას მომხმარებელი ელექტროენერგიის ქვითრის გადაუხდელობის გამო. ეს გარემოება მართავს ფულადი სახსრების ამოღების რისკს კომპანიისთვის. გარდა ამისა, საკრედიტო რისკის კონცენტრაცია საცალო მომხმარებლებზე მინიმუმამდეა დასული გარიგების საცალო მომხმარებლების დიდ რაოდენობასთან წარმოებით და კრედიტის შეზღუდვით ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის. რამდენადაც შესაძლებელია, მომხმარებლებისგან მიიღება უზრუნველყოფა ნაღდი ფულის ანაზრის სახით, რათა შემცირდეს გადაუხდელობის შემთხვევაში ფინანსური ზარალის რისკი (შენიშვნა 6).

ხელმძღვანელობამ შეიმუშავა კონსერვატიული დარეზერვების პოლიტიკა, რომელიც ნებისმიერი პრობლემური მომხმარებლის დროული იდენტიფიცირებისა და ადეკვატური დარეზერვების საშუალებას იძლევა. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების გამოკლებით (2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 64,527 ლარი და 65,176 ლარი, შესაბამისად), ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 157,872 ლარი და 238,311 ლარი, შესაბამისად), ვადიანი დეპოზიტის ნაშთის ეკვივალენტი (2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 92,000 და ნული, შესაბამისად) და გაცემული სესხი (2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 16,566 ლარი და 16,566 ლარი, შესაბამისად) წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

კომპანიას მიაჩნია, რომ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საკრედიტო რისკი უცვლელად დაბალია, ვინაიდან ელექტროენერგია მოსახლეობის ერთ-ერთი უმთავრესი საჭიროებაა და გადაუხდელობის შემთხვევაში მათ უწყდებათ ელექტროენერგიის მიწოდება.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს თავისი ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უმეტესი ნაწილის განთავსებით საქართველოს ცნობილ ბანკებში, რომელთა რეიტინგი შეადგენს „B“ და „BB“ Fitch რეიტინგის სკალაზე. ასევე, ხელმძღვანელობა ყურადღებით ადევნებს თვალს ბანკების სტატუსს, სადაც დეპოზიტები ინახება, ასევე მსხვილი მომხმარებლების სტატუსს და შესაბამისი დებიტორული დავალიანების მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად. სს „თელასის“ - საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოს პროცენტთან სასესხო მოთხოვნას, ვინაიდან ამავე დროს კომპანიას აქვს საკრედიტო დავალიანების მნიშვნელოვანი ნაშთი.

## 18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

### (ბ) საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. ელექტროენერგიის გასაყიდი ტარიფები შემდეგი ელემენტებისგან შედგება: ელექტროენერგიის მიწოდების ტარიფები, განაწილების მომსახურების ოპერატორის ტარიფი და გადაცემის ტარიფები, რომელიც ზღუდავს კომპანიის უნარს, დააკორექტიროს გასაყიდი ფასები შესყიდვის ტარიფის ღირებულების ან გაყიდული საქონლის თვითღირებულების სხვა კომპონენტების ზრდის საპასუხოდ. როგორც წესი, ელექტროენერგიის შესყიდვასთან დაკავშირებული მიმდინარე ხარჯების ზრდა კომპენსირდება ტარიფის შემდეგი დამტკიცების თარიღის განმავლობაში, რაც ხდება სემეკის მიერ კომპანიისთვის დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიით და თავის თავში გულისხმობს დანახარჯის მეთოდს.

ბაზრის კონცეფციის მიხედვით, 2022 წლის 1 ივლისიდან მაღალი ძაბვის ყველა აბონენტს და საშუალო ძაბვის აბონენტების ნაწილს, რომლებსაც აქვთ ყოველთვიური მოხმარება 1 მლნ კვტ, ელექტროენერგია დამოუკიდებლად უნდა შეეძინათ. შემდგომში, მრავალი დადგენილებით (მათ შორის, 2023 წლის 29 ივნისით დათარიღებული უახლესი დადგენილების) განხორციელების თარიღი გადაიდო 2025 წლის 1 ივლისამდე. კომპანია არ მოელის, რომ ამ ცვლილებას არსებითი ეფექტი ექნება, ვინაიდან ასეთი ტიპის მომხმარებლების რაოდენობა შეზღუდულია.

### (გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვის გონივრული პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო რესურსების საკმარისი მოცულობით უზრუნველყოფის საშუალებით.

2024 წლის 4 ივნისს ბაზრის კონცეფციაში განხორციელებული უახლესი ცვლილებების საფუძველზე, ელექტროენერგიის შესყიდვა ელექტროენერგიის ღია ბაზარზე დაიწყო 2024 წლის 1 ივლისიდან, ნებაყოფლობით საფუძველზე. ელექტროენერგიის ღია ბაზრის კონცეფციის ამოქმედების მომენტიდან კომპანია დაკვირვების რეჟიმშია. ამჟამად, როგორც თბილისის რეგიონის მთავარი მიმწოდებელი, კომპანია ელექტროენერგიას ყიდულობს ბაზარზე, სადაც გამჭვირვალედ ყალიბდება კონკურენტული ფასი და ცნობილია ბაზრის ყველა მონაწილისთვის.

ელექტროენერგიის ბირჟაზე ოპერირებისთვის კომპანიამ დღით ადრე უნდა გადაიხადოს შესასყიდი ელექტროენერგიის საფასური და წარმოადგინოს საბანკო გარანტია. კომპანიას მოუხდება დამატებითი დაფინანსების მოზიდვა, რათა დააფინანსოს დეფიციტი ფულადი ნაკადების შემოსვლასა და გასვლას შორის, რასაც დააკომპენსირებს ტარიფი, სემეკის მიერ მომდევნო სატარიფო პერიოდისთვის დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| 2024 წლის 31 დეკემბერი         | 1 წელზე<br>ნაკლები | 1-დან<br>2 წლამდე | 2-დან<br>5 წლამდე | სულ           | საბალანსო<br>ღირებულება |
|--------------------------------|--------------------|-------------------|-------------------|---------------|-------------------------|
| სავაჭრო და სხვა                |                    |                   |                   |               |                         |
| კრედიტორული დავალიანება        | 89,396             | -                 | -                 | 89,396        | 89,396                  |
| საიჯარო ვალდებულებები          | 861                | 292               | 79                | 1,232         | 956                     |
| <b>სულ სამომავლო გადახდები</b> | <b>90,257</b>      | <b>292</b>        | <b>79</b>         | <b>90,628</b> | <b>90,352</b>           |

## 18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

### (გ) ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

| 2023 წლის 31 დეკემბერი         | 1 წელზე<br>ნაკლები | 1-დან<br>2 წლამდე | 2-დან<br>5 წლამდე | სულ           | საბალანსო<br>ღირებულება |
|--------------------------------|--------------------|-------------------|-------------------|---------------|-------------------------|
| სავაჭრო და სხვა                |                    |                   |                   |               |                         |
| კრედიტორული დავალიანება        | 66,419             | -                 | -                 | 66,419        | 66,419                  |
| საიჯარო ვალდებულებები          | 851                | 700               | 166               | 1,717         | 1,573                   |
| <b>სულ სამომავლო გადახდები</b> | <b>67,270</b>      | <b>700</b>        | <b>166</b>        | <b>68,136</b> | <b>67,992</b>           |

### (დ) ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები

#### გარანტიები

კომპანიამ წარუდგინა გარანტია ესკოს და უზრუნველყოფის სახით დააგირავა ვადიანი დეპოზიტი 2024 და 2023 წლებში, შესაბამისად.

| მიმღები                                                   | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|-----------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული<br>ოპერატორი“ | 33,859            | 11,742            |

#### დაგირავებული აქტივები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი აქვს შემდეგი აქტივები:

| დაგირავებული აქტივები | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|-----------------------|-------------------|-------------------|
| დეპოზიტები            | 33,859            | 11,963            |

#### სასამართლო დავები

- (i) 2021 წლის 14 სექტემბერს კომპანიამ შეიტანა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში სემეკ-ის 2021 წლის 12 აგვისტოს #37/3 დადგენილების გაუქმების თაობაზე, რომლითაც კომპანია დაჯარიმდა 75 ლარით მომხმარებლებისთვის ქვითრების არასწორად გამოწერის გამო. საქმის განხილვა ჯერ არ არის დანიშნული, თუმცა კომპანია თვლის, რომ ეს თანხა შემცირდება, რადგან ზოგიერთ საჩივარს სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა.
- (ii) კომპანიას აქვს შრომითი დავა 754 ლარზე, რომლის აღბათობას კომპანია შესაძლოდ მიიჩნევს და მოლოდინებიდან გამომდინარე, კომპანია არ მიიჩნევს საჭიროდ რეზერვის შექმნას აღნიშნულ დავის დასაფარად.

ანგარიშგების თარიღისთვის, კომპანიის ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე რეალური, მოსალოდნელი ან გონივრული სარჩელები კომპანიის წინააღმდეგ, რომლებიც არსებით გავლენას მოახდენდა კომპანიაზე.

## 19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

### (ა) გარიგებები ხელმძღვანელობასთან

2024 და 2023 წლის განმავლობაში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, რომელიც შედგება ხელფასისგან და სხვა მოკლევადიანი გასამრჯელოებისგან, შეადგინა 1,806 და 1,889 ლარი შესაბამისად.

### (ბ) სხვა გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის მიერ დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ყველა გარიგება ხორციელდება საერთო კონტროლის ქვეშ არსებულ ორგანიზაციებთან და წარმოდგენილია ქვემოთ:

| ელექტროენერგიის შესყიდვა | ოპერაციის ღირებულება<br>დასრულებული<br>წლისათვის |       | დავალიანების თანხები |       |
|--------------------------|--------------------------------------------------|-------|----------------------|-------|
|                          | 2024                                             | 2023  | 2024                 | 2023  |
| სს „ხრამჭესი 1“          | 5,829                                            | 3,434 | 132                  | 636   |
| სს „ხრამჭესი 2“          | 13,586                                           | 9,778 | 305                  | 1,385 |

ელექტროენერგიის შესყიდვა სს „ხრამჭესი 1-ისა“ და სს „ხრამჭესი 2-ისგან“ ხდება ელექტროენერგიის რეგულირებული ტარიფებით.

| ტრანზაქციები სს „თელასთან“                        | განაწილების მომსახურების<br>საფასური |           | სრული შემოსავლის<br>ანგარიშგების სხვა მუხლები |       |
|---------------------------------------------------|--------------------------------------|-----------|-----------------------------------------------|-------|
|                                                   | 2024                                 | 2023      | 2024                                          | 2023  |
| განაწილების ოპერატორის მომსახურება (ა)            | (215,849)                            | (209,277) | -                                             | -     |
| ელექტროენერგიის რეალიზაცია                        | -                                    | -         | 655                                           | 689   |
| სხვა შესყიდვები (ბ)                               | -                                    | -         | (461)                                         | (938) |
| კომპენსაცია სემეკ-ის #47 დადგენილების<br>თანახმად | -                                    | -         | 510                                           | -     |
| ფინანსური შემოსავალი გაცემულ სესხზე<br>(გ)        | -                                    | -         | 2,629                                         | 919   |

| ტრანზაქციები სს „თელასთან“                          | კრედიტორული დავალიანება |        | დებიტორული დავალიანება |        |
|-----------------------------------------------------|-------------------------|--------|------------------------|--------|
|                                                     | 2024                    | 2023   | 2024                   | 2023   |
| განაწილების ოპერატორის მომსახურება (ა)              | 26,021                  | 23,786 | -                      | -      |
| სხვა კრედიტორული და დებიტორული<br>დავალიანებები (ბ) | 398                     | 252    | 200                    | 101    |
| გაცემული სესხი (გ)                                  | -                       | -      | 19,000                 | 19,000 |

### გარიგებები სს „თელასთან“

#### (ა) დავალიანება განაწილების მომსახურების ოპერატორის წინაშე

კომპანიის საქმიანობის არეალში განაწილების მომსახურებას ეწევა სს „თელასი“, განაწილების მომსახურების ოპერატორი, სემეკ-ის მიერ დამტკიცებული ტარიფით. მომსახურების გასამრჯელომ 2024 და 2023 წლის განმავლობაში 215,849 ლარი და 209,277 ლარი შეადგინა, შესაბამისად (შენიშვნა 7). 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, განაწილების მომსახურების ოპერატორის წინაშე მთლიანმა დავალიანებამ შეადგინა 26,021 ლარი და 23,786 ლარი, შესაბამისად (შენიშვნა 16).

## 19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

### (ბ) სხვა გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

#### (ბ) სხვა კრედიტორული და სავაჭრო დებიტორული დავალიანება

სხვა დავალიანება, მოიცავს სს „თელასის“ წინაშე არსებულ დავალიანებას სემეკის 2020 წლის 13 აგვისტოთი დათარიღებული №47 დადგენილების თანახმად („№47 დადგენილება“) შემდეგი მომსახურებისთვის: ქსელთან მიერთება, ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენის საფასური, მრიცხველის შეკეთების საფასური (რაც წარმოადგენს სს „თელასის“ საქმიანობის მასშტაბს) და ქვითრების განაწილების მომსახურება, რომელმაც 2024 და 2023 წლებში შესაბამისად შეადგინა 398 ლარი და 252 ლარი. 2024 წელს ამ მომსახურების საფასურმა შეადგინა 461 ლარი (2023 წელს - 938 ლარი).

სს „თელასის“ მიერ ელექტროენერგიის საკუთარ მოხმარებასთან დაკავშირებულმა დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 108 ლარი და 101 ლარი 2024 და 2023 წლებში, შესაბამისად.

#### გ) გაცემული სესხი

2024 წელს კომპანიამ ხელი მოაწერა საკრედიტო ხელშეკრულების დამატებით შეთანხმებას სს „თელასთან“ და კრედიტის დაფარვის ვადა გააგრძელა 2025 წლის დეკემბრის ბოლომდე. 2024 წელს კომპანიამ მიიღო დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხის პროცენტის და ძირის ნაწილი 2,629 ლარის და ნული ლარის ოდენობით, შესაბამისად (2023 წელს მიღებული პროცენტი და ძირი შეადგენდა 1,036 ლარს და 10,000 შესაბამისად).

#### (დ) დივიდენდები

კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 2,078 ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) (2023 წლის განმავლობაში 6,235 ლარი) (შენიშვნა 15 (ბ))

## 20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება მიზნად ისახავს რაც შეიძლება ზუსტად იქნას განსაზღვრული ღირებულება, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა შესაძლებელია კარგად გათვითცნობიერებულ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მხარეებს შორის, რომელთაც დანამდვილებით სურთ ამგვარი გარიგების დადება. თუმცა, არსებული გაურკვევლობისა და შეფასების სუბიექტურობის გამო, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას განხილული ღირებულებად, რომლითაც შესაძლებელია აქტივების დაუყოვნებლივ რეალიზება ან ვალდებულებების შესრულება.

## 20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ანალიზი წარმოდგენილია შემდეგი თანმიმდევრობით:

|                                                       |        | 2024 წლის 31 დეკემბერი |                        |
|-------------------------------------------------------|--------|------------------------|------------------------|
|                                                       | დონე   | საბალანსო ღირებულება   | სამართლიანი ღირებულება |
| ფინანსური აქტივები                                    |        |                        |                        |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 13)  | დონე 3 | 64,527                 | 64,527                 |
| გაცემული სესხი (შენიშვნა 12)                          | დონე 3 | 16,566                 | 16,566                 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 14)   | დონე 1 | 157,872                | 157,872                |
| ვადიანი დეპოზიტები (შენიშვნა 14)                      | დონე 1 | 92,000                 | 92,000                 |
| ფინანსური ვალდებულებები                               |        |                        |                        |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 16) | დონე 3 | 89,396                 | 89,396                 |
| საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 11)                   | დონე 3 | 956                    | 956                    |
|                                                       |        | 2023 წლის 31 დეკემბერი |                        |
|                                                       | დონე   | საბალანსო ღირებულება   | სამართლიანი ღირებულება |
| ფინანსური აქტივები                                    |        |                        |                        |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 13)  | დონე 3 | 65,176                 | 65,176                 |
| გაცემული სესხი (შენიშვნა 12)                          | დონე 3 | 16,566                 | 16,566                 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 14)   | დონე 1 | 238,311                | 238,311                |
| ფინანსური ვალდებულებები                               |        |                        |                        |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 16) | დონე 3 | 66,419                 | 66,419                 |
| საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 11)                   | დონე 3 | 1,573                  | 1,573                  |

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სამართლიანი ღირებულება, ვადიანი დეპოზიტის, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების და გაცემული სესხის სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულების, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- ▶ საიჯარო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ფასდება სამომავლო ფულადი ნაკადების ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო განაკვეთებით დისკონტირებით.

## 21. შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ან ტრანზაქცია, რომელიც მოითხოვდა ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირებას ან ინფორმაციის გამჟღავნებას.

## ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანიის“ მფლობელებს, საზედამხედველო საბჭოსა და ხელმძღვანელობას.

შპს „თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანიის“ 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩვენ მიერ 2025 წლის 7 თებერვალს გაცემულ აუდიტის დასკვნაში, გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ. ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2025 წლის 2 ივნისი

## ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანიის“ მფლობელებს, საზედამხედველო საბჭოსა და ხელმძღვანელობას.

შპს „თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანიის“ 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩვენ მიერ 2025 წლის 7 თებერვალს გაცემულ აუდიტის დასკვნაში, გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ. ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2025 წლის 2 ივნისი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
„თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია“

დამტკიცებულია:

შპს

„თბილისის

ელექტრომომწოდებელი კომპანიის“

პარტნიორთა საერთო კრების მიერ

2025 წლის 15 მაისის

ოქმი №1/25 «15» მაისი 2025 წ.

სამეთვალყურეო ხაზის თავმჯდომარე  
/ა.ნ. ბელიაევი/

**წლიური ანგარიში  
2024 წლის მუშაობის შედეგების შესაბამისად**

|                                           |               |
|-------------------------------------------|---------------|
| გენერალური დირექტორი                      | ა.ი. მარკოვი  |
| ფინანსურ-ეკონომიკური სამსახურის<br>უფროსი | ა.ი. სეისიანი |

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
„თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია“

დამტკიცებულია:  
შპს „თბილისის ელექტრომომწოდებელი  
კომპანიის“  
პარტნიორთა საერთო კრების მიერ  
2025 წლის 15 მაისის  
ოქმი №1/25 «15» მაისი 2025 წ.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე  
\_\_\_\_\_ /ა.ნ. ბელიაევი/

წლიური ანგარიში  
2024 წლის მუშაობის შედეგების შესაბამისად

|                                           |               |
|-------------------------------------------|---------------|
| გენერალური დირექტორი                      | ა.ი. მარკოვი  |
| ფინანსურ-ეკონომიკური სამსახურის<br>უფროსი | ა.ი. სეისიანი |

## სარჩევი

|       |                                                                                                                                             |    |
|-------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| I.    | ძირითადი მოვლენები.....                                                                                                                     | 2  |
| II.   | მოკლე ინფორმაცია საზოგადოების შესახებ .....                                                                                                 | 4  |
| III.  | კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა .....                                                                   | 5  |
| IV.   | საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობა.....                                                                                     | 6  |
| V.    | საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. საწარმოო საქმიანობა.....                                                          | 6  |
| VI.   | საზოგადოების განვითარების პერსპექტივები.....                                                                                                | 14 |
| VII.  | საინვესტიციო საქმიანობა.....                                                                                                                | 15 |
| VIII. | შესყიდვების საქმიანობა.....                                                                                                                 | 15 |
| IX.   | საზოგადოების რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის დახასიათება<br>17                                                                 |    |
| X.    | რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის მიმოხილვა ფინანსური<br>ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებით .....                      | 20 |
| XI.   | ფინანსური რისკების მართვა.....                                                                                                              | 21 |
| XII.  | კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა .....                                                                                                | 24 |
| XIII. | ინფორმაცია საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ .....                                                                         | 28 |
| XIV.  | ინფორმაცია არაპროფილური აქტივების შესახებ .....                                                                                             | 28 |
| XV.   | დამატებითი ინფორმაცია პარტნიორებისათვის .....                                                                                               | 29 |
|       | დანართი № 1 წლიურ ანგარიშზე: 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წლის ფინანსური<br>ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის აუდიტორული დასკვნით ..... | 31 |

## I. ძირითადი მოვლენები

|                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|-------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>იანვარი</b>          | საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - სემეკი ან მარეგულირებელი) მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე მარეგულირებელმა 2023 წლის 28 დეკემბრის #71, 72 და 73 დადგენილებებით ცვლილება შეიტანა „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ 2008 წლის 4 დეკემბრის N33 დადგენილებაში. ნორმატიული ცვლილების შესაბამისად, 2024 წლის 1 იანვრიდან დაწესდა და მთელი საანგარიშო წლის განმავლობაში მოქმედებდა ელექტროენერგიის ახალი ტარიფები. ახალი ტარიფის თანახმად, საბოლოო მომხმარებლის ტარიფი 2021 – 2023 წლებში მოქმედ ტარიფებთან შედარებით, 11%-ით (3 თეთრი/კვტ.სთ დღგ-ით ტარიფზე) შემცირდა. |
| <b>მარტი</b>            | 2024 წლის 19 მარტს პარტნიორთა რიგგარეშე საერთო კრების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2023 ფინანსური წლის 9 თვის შედეგების მიხედვით შუალედური წმინდა მოგების შპს „თელმიკოს“ პარტნიორებს შორის განაწილების შესახებ (2024 წლის 19 მარტის პარტნიორთა რიგგარეშე საერთო კრების N1/24 ოქმი).                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| <b>მაისი</b>            | გაიმართა შპს „თელმიკოს“ პარტნიორთა წლიური საერთო კრება 2023 წლის მუშაობის შედეგების შესაბამისად.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
| <b>ივნისი</b>           | საქართველოს მთავრობის 2024 წლის 4 ივნისის N181 დადგენილებით ენერგეტიკული ბირჟის სრულად ამოქმედება 2025 წლის 1 ივლისამდე გადაიდო, ხოლო 2024 წლის პირველი ივლისიდან 2025 წლის პირველ ივლისამდე ამოქმედდა ნებაყოფლობითი ვაჭრობის რეჟიმი.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| <b>ივლისი, ნოემბერი</b> | საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ჩატარდა ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
| <b>სექტემბერი</b>       | საწარმოო ექსპლუატაციაში ჩაშვებულ იქნა ბილინგის სისტემა.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| <b>ოქტომბერი</b>        | საქართველოს მთავრობის 03.10.2024 წლის N327 დადგენილებით ელექტროენერგიის სექტორში საჯარო ვალდებულების შესრულების ფარგლებში შპს „თელმიკოს“ გაუგრძელდა უნივერსალური მომსახურების, საჯარო მომსახურებისა და ბოლო ალტერნატივის მომსახურების მიმწოდებლის სტატუსების მოქმედების ვადა 2026 წლის 1 ივლისამდე.                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |

|                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
|------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>დეკემბერი</b> | <p>შემუშავდა და დაინერგა ელექტრონული სერვისი „თქვენი ქვითარი“, ონლაინ რეჟიმში აბონენტებისთვის მომზადებული ქვითრების ისტორიის სანახავად.</p> <p>შპს „თელმიკოს“ სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით (2024 წლის 26 დეკემბრის ოქმი N56) 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდა შპს „თელმიკოსა“ და სს „თელასს“ შორის 19 000 ათას ლარზე 2023 წელს დადებული სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადა.</p> <p>„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებულ იქნა შიდა ნორმატიული დოკუმენტები.</p> <p>აუდიტის შედეგების მიხედვით, საზოგადოებამ წარმატებით შეასრულა „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნები</p> |
|------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

## II. მოკლე ინფორმაცია საზოგადოების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 16 ივლისის N239 დადგენილებით დამტკიცდა „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესები“.

ლიცენზიატის გაყოფის გეგმის განხორციელების ფარგლებში და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, 2020 წლის 8 სექტემბერს დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“. საქართველოს მთავრობის 25.05.2021 წლის N236 დადგენილებით შპს „თელმიკოს“ დაეკისრა საჯარო მომსახურების განვითარების ვალდებულება ელექტროენერგიის სექტორში, რომლის შესაბამისადაც, სს „თელასის“ მოქმედების არეალში საზოგადოებას მიენიჭა უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლის და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და შემდგომ, რიგი განკარგულებებით (მათ შორის, 2024 წლის 3 ოქტომბრით დათარიღებული უახლესი N327 დადგენილებით), მიმწოდებლის ვალდებულება გაგრძელდა 2026 წლის 1 ივლისამდე.

საფირმო სახელწოდება – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“.

პარტნიორების რაოდენობა 31.12.2024 წლისთვის – 2 (ორი):

1) Silk Road Holdings B.V. (საიდენტიფიკაციო ნომერი 807135732, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა ნიდერლანდების კანონმდებლობის საფუძველზე 1998 წლის 28 მაისს, ნიდერლანდების სავაჭრო-სამრეწველო პალატის სავაჭრო რეესტრის მიერ

ნომრით 33303554, მისი რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: სტრავინსკილან 655, 1077XX ამსტერდამი, ნიდერლანდები (შემდგომში Silk Road Holdings B.V.).

2) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ენერჯი კომპანი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 405283688, რეგისტრაციის თარიღი 02.08.2018წ., მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. აბაშიძის ქ. #70, მე-6 სართული, ბინა #26) (შემდგომში - „ენერჯი კომპანი“).

საზოგადოების წესდების 1.17 პუნქტის შესაბამისად, საზოგადოებას მოგების მიღების მიზნით უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი სახის საქმიანობა რომელიც არ არის აკრძალული კანონით. მათ შორის:

- ელექტროენერგიის შესყიდვა;
- ელექტროენერგიის მიწოდება საბოლოო მომხმარებლებისთვის;
- მიწოდებული ელექტროენერგიის გადახდების შეგროვება;
- კანონით ნებადართული საქმიანობის ნებისმიერი სხვა სახეობა.

საზოგადოება წარმოადგენს მხოლოდ ელექტროენერგიის მიმწოდებელს (რეგულირებადი საქმიანობა) და 2024 წელს ის არ ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით ან/და სხვა არარეგულირებად საქმიანობას.

ამჟამად შპს „თელმიკო“ მომსახურებას უწევს 727 468 აბონენტს. საერთო სააბონენტო ბაზა მოიცავს 729 490 აბონენტს.

2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, აბონენტთა რაოდენობა გაიზარდა 28 174 აბონენტით (4%).

### **III. კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა**

საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში - „სს“) ახორციელებს საზოგადოების საქმიანობის ზოგად მართვას, პარტნიორთა საერთო კრების და გენერალური დირექტორის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გარდა.

2024 წელს გაიმართა პარტნიორთა 1 (ერთი) მორიგი და 2 (ორი) რიგგარეშე საერთო კრება. პარტნიორთა ყველა კრება ჩატარდა დასწრებული ფორმით. 2024 წელს ასევე გაიმართა სამეთვალყურეო საბჭოს 14 (თოთხმეტი) სხდომა. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა სხდომა გაიმართა დაუსწრებლად.

პარტნიორთა 2023 წლის 10 აგვისტოს რიგგარეშე საერთო კრების გადაწყვეტილების (2023 წლის 10 აგვისტოს ოქმი N2/23) შესაბამისად, 2024 წელს მოქმედებდა სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

- 1) ანტონ ნიკოლაის ძე ბელიაევი – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
- 2) თამარ რობერტის ასული გახარია – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
- 3) რუსლან ვილის ძე გალიამოვი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- 4) ევგენი გალიმის ძე სარიმსაკოვი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- 5) ალექსანდრე ევგენის ძე დუმინი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

- 6) ოქსანა ვლადიმირის ასული პანოვა - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი  
 7) შალვა გივის ძე წაქაძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

#### IV. საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობა

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებებს ახორციელებს გენერალური დირექტორი.

კოლეგიური აღმასრულებელი ორგანო წესდებით არ არის გათვალისწინებული.

შპს „თელმიკოს“ გენერალური დირექტორია ანატოლი იგორის ძე მარკოვი, რომელიც თანამდებობაზე დაინიშნა 27.09.2022 წლიდან (საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს 22.09.2022 წლის გადაწყვეტილება, ოქმი N24).

#### V. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. საწარმოო საქმიანობა

საზოგადოების ძირითადი საწარმოო და ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს:

ცხილში თანხები მოცემულია ათას რუბლში

| ანგარიში ერთობლივი შემოსავლის შესახებ                               | 2023 წელი      | 2024 წელი       | % ცვლილების  |
|---------------------------------------------------------------------|----------------|-----------------|--------------|
| შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან            | 703 912        | 687 032         | -2           |
| შესყიდული ელექტროენერგია და მასთან დაკავშირებული ხარჯები            | (613 550)      | (715 693)       | 17           |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის წმინდა აღდგენა/(დარიცხვა), | (2 306)        | 338             | 115          |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                | (1 131)        | (1 206)         | 7            |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                                             | (11 415)       | (13 251)        | 16           |
| <b>საოპერაციო (ზარალი)/მოგება</b>                                   | <b>75 510</b>  | <b>(42 780)</b> | <b>(157)</b> |
| ფინანსური შემოსავალი                                                | 27 297         | 33 650          | 23           |
| ფინანსური დანახარჯები                                               | (227)          | (712)           | 214          |
| საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი                           | (32)           | (34)            | 6            |
| <b>(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</b>              | <b>102 548</b> | <b>(9 876)</b>  | <b>(110)</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                           | (830)          | (277)           | (67)         |
| <b>წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი</b>                               | <b>101 718</b> | <b>(10 153)</b> | <b>(110)</b> |

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული შედარებითი პერიოდისთვის.

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს ახორციელებს ხელმძღვანელობა, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

შემოსავლის აღრიცხვა წარმოებს ფასს (IFRS) 15-ის შესაბამისად „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“. საზოგადოება მოქმედებს პრინციპალის სახით, შესაბამისად, განაწილების და გადაცემის ყველა მომსახურება, რომელზეც საბოლოო მომხმარებლებს წარედგინებათ ანგარიშები ელექტროენერგიის მიწოდებისგან მიღებული შემოსავლის ნაწილის სახით, ერთობლივი შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება.

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებულმა ამონაგებმა 2024 და 2023 წლებში შეადგინა 687 032 ათასი ლარი და 703 912 ათასი ლარი, შესაბამისად. შემოსავლის შემცირება ტარიფის შემცირებით არის განპირობებული, სემეკ-ის 2023 წლის 28 დეკემბრის N33 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების თანახმად, გაყიდვების ტარიფები 11%-ით შემცირდა ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის და უცვლელი დარჩა 2024 წლის განმავლობაში. რაც გარკვეულწილად იწარება 2024 წელს ელექტროენერგიის მოხმარების ზრდით 256 მლნ კვტ/სთ-ით. ამასთან, 102 143 ათასი ლარით გაიზარდა ელექტროენერგიის და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვის ხარჯები, რაც განპირობებულია შეძენილი ელექტროენერგიის მოცულობისა და საშუალო ფასის ზრდით.

აუდირებულმა (ზარალმა)/მოგებამ 2024 და 2023 წლებში შეადგინა (10 153) და 101 718 ათასი ლარი, შესაბამისად. 2024 წლის 1 იანვრიდან დაიწყო 2021, 2022 და 2023 წლებში დაგროვებული მოგების კორექტირება რამაც გამოიწვია საზოგადოების ფინანსური შედეგების გაუარესება 2024 წელს და ასევე აისახება მომავალი პერიოდების ანგარიშგებებშიც.

ცხილში თანხები მოცემულია ათას ლაში

| ფინანსური მდგომარეობის<br>ანგარიშგება    | 2023<br>წელი   | 2024<br>წელი   | %<br>ცვლილების |
|------------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| გრძელვადიანი აქტივები                    | 3 455          | 2 815          | (19)           |
| მიმდინარე აქტივები                       | 320 091        | 331 003        | 3              |
| სულ აქტივები                             | <b>323 546</b> | <b>333 818</b> | <b>3</b>       |
| კაპიტალი                                 | <b>240 761</b> | <b>228 530</b> | <b>(5)</b>     |
| საიჯარო ვალდებულება                      | 809            | 306            | <b>(62)</b>    |
| სულ გრძელვადიანი<br>ვალდებულებები        | <b>809</b>     | <b>306</b>     | <b>(62)</b>    |
| სავაჭრო და სხვა საკრედიტო<br>დავალიანება | 66 419         | 89 396         | 35             |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები             | 5 745          | 7 043          | 23             |

|                                        |                |                |           |
|----------------------------------------|----------------|----------------|-----------|
| წმინდა საგადასახადო დავალიანება        | 9 048          | 7 893          | (13)      |
| საიჯარო ვალდებულება                    | 764            | 650            | (15)      |
| სულ მიმდინარე ვალდებულებები            | <b>81 976</b>  | <b>104 982</b> | <b>28</b> |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | <b>323 546</b> | <b>333 818</b> | <b>3</b>  |

მიმდინარე აქტივებმა 2024 და 2023 წლებში შეადგინა 331 003 ათასი ლარი და 320 091 ათასი ლარი, შესაბამისად. მიმდინარე აქტივების ცვლილების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ზრდა და სადეპოზიტო ხელშეკრულებების გაფორმება საქართველოს ცნობილ ბანკებში „B“ და „BB“ რეიტინგებით Fitch-ის სარეიტინგო სკალაზე.

საზოგადოებამ 2023 წელს სს „თელასზე“ გასცა სესხი 19 000 ათას ლარის ოდენობით, 2024 წლის დეკემბერში საზოგადოებმა მოაწერა ხელი დამატებით შეთანხმებას, რომლის თანახმადაც გაცემული სესხი გადაგრძელდა 1 წლით.

მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში 2023 წელს დააფიქსირა მოსალოდნელი გაუფასურება, პროცენტიან სესხებზე 2 434 ათასი ლარის და 2024 წელს ნული ლარის ოდენობით, შესაბამისად.

საზოგადოების კაპიტალმა 2024 და 2023 წლებში შეადგინა 228 530 ათასი ლარი და 240 761 ათასი ლარი, შესაბამისად. შემცირებამ (12 231) ათასი ლარი შეადგინა, სატარიფო რეგულაციის მიხედვით, წინა წლებიდან დაგროვილი მოგების კორექტირება დაიწყო 2024 წლის 1 იანვრიდან, და 2024 წლის განმავლობაში 2 078 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდების საშემოსავლო გადასახადამდე გაცემასთან.

საზოგადოება აწარმოებს იჯარის აღრიცხვას ფასს (IFRS) 16-ის „იჯარა“ შესაბამისად. აქტივები სარგებლობის უფლების ფორმით წარმოადგენს შპს „თელმიკოს“ ადმინისტრაციულ ოფისს და კლიენტთა მომსახურების 6 ცენტრს.

### საზოგადოების აქტივების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი

2024 და 2023 წლების ბოლოს შპს „თელმიკოს“ მთლიანი აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 333 818 ათასი ლარი და 2023 წელს 323 546 ათასი ლარი, რაც მეტწილად წარმოადგენილია მომხმარებელთა დაგროვილი ან მისაღები ფულადი სახსრების სახით.

### საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი                         | 31.12.2023 | 31.12.2024 |
|-------------------------------------|------------|------------|
| აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი | 2,91       | 2,38       |
| სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი     | 3,90       | 2,28       |
| მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი  | 3,90       | 3,15       |

- აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი ასახავს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მთლიანობის (აქტივების ყველაზე

ლიკვიდური ნაწილის) თანაფარდობას მოკლევადიან ვალდებულებებთან. მაჩვენებელი 2,38 და 2,91 2024 და 2023 წლებში ნიშნავს, რომ საზოგადოებას შეუძლია დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებების 238% და 291% 2024 და 2023 წლების ბოლოს, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამოყენებით.

- სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი ასახავს ფულადი სახსრების, მათი ეკვივალენტებისა და დებიტორული დავალიანების ერთობლიობის თანაფარდობას მიმდინარე ვალდებულებებთან (მარაგებისა და ვადიანი დეპოზიტის გამოკლებით). მაჩვენებელი 2,28 და 3,90 ნიშნავს, რომ ყველა მოკლევადიანი ვალდებულების დაფარვის შემდეგ საზოგადოებას ექნება მთლიანი ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ეკვივალენტებისა და მოთხოვნების 228% და 390%.

2024 და 2023 წლების შედეგების მიხედვით ლიკვიდურობის მაჩვენებლები დარგის დონეებზე მაღალ დონეზე იმყოფება და დადებით დინამიკას აჩვენებს, რაც განპირობებულია ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთით პერიოდების ბოლოს. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო აქტივების კლების მოლოდინის გამო, მოსალოდნელია ლიკვიდურობის მაჩვენებლების უარყოფითი დინამიკა მომავალ ანგარიშებში.

### საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი                          | 31.12.2023 | 31.12.2024 |
|--------------------------------------|------------|------------|
| გაყიდვების რენტაბელობა               | 11,1%      | (6,2%)     |
| საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE) | 42,2%      | (4,4%)     |
| აქტივების რენტაბელობა (ROA)*         | 31,4%      | (3,0%)     |

\* „აქტივების რენტაბელობის“ (ROA) გამოსათვლელად გამოყენებულია „მთლიანი აქტივების“ მაჩვენებლის მნიშვნელობა შესაბამისი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

- „გაყიდვების რენტაბელობა“ ასახავს მოგების (ზარალის) თანაფარდობას გაყიდვებიდან მიღებულ ამონაგებთან.

- „საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE)“ არის მოგების (ზარალის) თანაფარდობა კაპიტალთან და ამით გვეხმარება იმის გარკვევაში, თუ რამდენად ეფექტურად იქნა გამოყენებული ჩადებული კაპიტალი.

- „აქტივების რენტაბელობა (ROA)“ აღწერს მოგების გენერირების შესაძლებლობას ორგანიზაციის ყველა აქტივის გამოყენებისას.

2024 წლის 1 იანვრიდან, საზოგადოების ანგარიშებში დანყებულია მაჩვენებლების გაუარესება, რაც დაკავშირებულია 11%-ით (3 თეთრი/კვტ.სთ დღე-ით) საზოგადოების სამომხმარებლო ტარიფების შემცირებასთან, სემეკ-ის 2023 წლის 28 დეკემბრით დამტკიცებული #71, 72 და #73 დადგენილებებით.

### საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი                           | 31.12.2023 | 31.12.2024 |
|---------------------------------------|------------|------------|
| ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი | 0,74       | 0,68       |

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი 0,68 და 0,74 ოდენობით 2024 და 2023 წლებში ახასიათებს საკუთარი კაპიტალის თანაფარდობას კაპიტალის (აქტივების) მთლიან თანხასთან.

რაც უფრო მაღალია ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით უფრო ფინანსურად მდგრადი და სტაბილურია საწარმო, უფრო დამოუკიდებელია გარე კრედიტორებისგან. მართლაც, საზოგადოებას არ მოუზიდავს გარე სესხები და დროულად იხდიდა საკრედიტო დავალიანებას ყველა კონტრაქტის მიმართ, დამტკიცებული ნორმატიული ან/და სახელშეკრულებო ვადების შესაბამისად, თუმცა, 2024 წლის 1 იანვრიდან დაწყებულია ადრე დაგროვილი და მოგებაში ასახული ეკონომიის კორექტირება

მარეგულირებლის მიერ, რაც აუარესებს საზოგადოების ფინანსურ მდგრადობას.

ფინანსური მაჩვენებლები გაანგარიშებულია საზოგადოების 2024 და 2023 წლების IFRS სტანდარტების მიხედვით ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელზეც საზოგადოების აუდიტორმა, შპს „UHY“-მ გასცა აუდიტის დასკვნა.

შპს „UHY“-მ ჩაატარა საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებისგან, ერთობლივი შემოსავლის შესახებ ანგარიშგებისგან, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებისგან, მითითებულ თარიღში დასრულებული პერიოდისთვის, ასევე შენიშვნებისაგან, რომელიც შედგება სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი დებულებებისგან და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან. შპს „UHY“-ის დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ 2025 წლის 7 თებერვალს გაცემული აუდიტის ანგარიშის თანახმად, საზოგადოების ფინანსური ანგარიშგება დანამდვილებით ასახავს ყველა ასპექტში საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მის ფინანსურ შედეგებს და ფულადი ნაკადების მოძრაობას მითითებულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

## **საზოგადოების საქმიანობის კომერციული მაჩვენებლები**

### **1. კლიენტთა მომსახურება**

2024 წლის განმავლობაში საზოგადოება ორიენტირებული იყო კლიენტებისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაზე.

#### **1.1. კლიენტთა მომსახურება ქოლ-ცენტრის მეშვეობით**

კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად საზოგადოებაში შექმნილია 24-საათიანი ქოლ ცენტრი.

ქოლ-ცენტრის მუშაობის მაჩვენებლები:

## ქოლ-ცენტრის მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები 2023-2024 წლებში

| დასახელება                                          | 2023    | 2024    | ცვლილების % |
|-----------------------------------------------------|---------|---------|-------------|
| შემოწავალი ზარები, ც.                               | 414 934 | 505 774 | 22%         |
| ნაპასუხები ზარების, %                               | 97%     | 95,40%  | -1,5%       |
| 80 წამის განმავლობაში ნაპასუხები ზარების, %         | 94%     | 90,09%  | -3,7%       |
| დისტანციური მომსახურება (მესენჯერები, ვებ-ჩატი), ც. | 94 636  | 117 972 | 25%         |
| დისტანციური განაცხადები დაკმაყოფილების, %           | 100%    | 100%    | -           |

წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა დისტანციური მომსახურების არხებით მომხმარებელთა მომართვების რაოდენობა, რაც მიუთითებს საზოგადოების მიერ შემოთავაზებული დისტანციური მომსახურების სერვისების მოხერხებულობაზე და პოპულარულობაზე, ამასთან მომხმარებლები პასუხების უმეტესობას ონლაინ რეჟიმში იღებენ, ისევე როგორც ჩვეულებრივი ზარის განხორციელებისას.

ქოლ-ცენტრის 2024 წლის მუშაობის შედეგების თაობაზე მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით მომხმარებლების და/ან მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან პრეტენზიები არ შემოსულა.

## 1.2. მომსახურება კლიენტთა მომსახურების ცენტრებისა და ბექ-ოფისების მეშვეობით

ამჟამად, შპს „თელმიკოში“ ფუნქციონირებს 6 კლიენტთა მომსახურების ცენტრი (შემდგომში - კმც), რომლებიც ემსახურებიან 727 468 აბონენტს. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, კმც-ები მუშაობენ შაბათობით და კვირაში ერთხელ საღამოს 8 საათამდე. კმც-ებში აბონენტებს აქვთ შესაძლებლობა დისტანციურად მიიღონ მომსახურება ელექტრონული მინოდებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის, გააფორმონ მინოდების ხელშეკრულება.

ხარისხიანი მომსახურება 2024 წლის განმავლობაში არაერთხელ აღინიშნა აბონენტების მხრიდან - მიღებულია 20-ზე მეტი მადლობის წერილი.

2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, აბონენტთა რაოდენობა გაიზარდა 28 174 აბონენტით (4%).

მომხმარებელთა მიმართვებთან დაკავშირებული ძირითადი სამუშაო მაჩვენებლები (2023-2024 წლები)

| დასახელება | 2023წ | 2024წ | % ცვლილება |
|------------|-------|-------|------------|
|------------|-------|-------|------------|

|                                                                                   |        |        |     |
|-----------------------------------------------------------------------------------|--------|--------|-----|
| განხილული განცხადებების საერთო რაოდენობა (ცალი)                                   | 52 497 | 65 768 | 25% |
| კლიენტთა მომსახურების ცენტრებში მომხმარებელთა პირადი მიმართვების რაოდენობა (ცალი) | 33 459 | 59 550 | 78% |

2024 წელს არ დაფიქსირებულა კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დარღვევა მომხმარებელთა განცხადებების განხილვის პროცესში.

## 2. საბითუმო ბაზარზე ელექტროენერგიის/სიმძლავრის შესაძენად მიმდინარე სამუშაოები

- შპს „თელმიკო“ ელექტროენერგიას შეისყიდის საბითუმო ბაზარზე;
- ძირითადი მსხვილი მწარმოებლები: ძირითადი მსხვილი მიმწოდებლები არიან: შპს „ენგურჰესი“, შპს „ვარდნილჰესების კასკადი“; სს „ხრამ ჰესი I“, სს „ხრამ ჰესი II“;
- 2024 წელს დაიდო და „სსე“-ში და ესკო-ში დარეგისტრირდა ელექტროენერგიის პირდაპირი შესყიდვის 110 ხელშეკრულება;
- „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, ელექტროენერგიის ბირჟა არასავალდებულო მონაწილეობის რეჟიმით ამოქმედდა 2024 წლის 1 ივლისიდან. ბირჟის სრულად ამოქმედება იგეგმება 2025 წლის 1 ივლისიდან. კომპანიას ჰყავს სერტიფიცირებული სავაჭრო წარმომადგენლები.

შეძენილი ელექტროენერგიის განაწილება:

| ელექტროენერგიის მიწოდება | % მთლიანი შეძენილი მოცულობიდან |
|--------------------------|--------------------------------|
| ჰესი                     | 40,4%                          |
| თეს                      | 4,2%                           |
| ესკო                     | 55,4%                          |
| ჯამი                     | 100%                           |

## ელექტროენერგიის საერთო მოცულობის რეალიზაციის სტრუქტურა მომხმარებლის კატეგორიების მიხედვით

ცხილში მოცულობები მოცემულია კვტ/სთ-ში

| № | მიწოდების ტიპი/<br>მომხმარებლის<br>სექტორი | ძაბვის<br>დიაპაზონი | 2023          | 2024          | გადახრა     |     |
|---|--------------------------------------------|---------------------|---------------|---------------|-------------|-----|
|   |                                            |                     |               |               | (+/-)       | (%) |
| 1 | 2                                          | 3                   | 4             | 5             | 6           |     |
| 1 | უნივერსალური მომწოდებელი                   |                     | 1 667 712 329 | 1 827 330 561 | 159 618 232 | 10% |
| 2 | საყოფაცხოვრებო მომხმარებლები               | 0,4                 | 1 103 077 483 | 1 176 733 080 | 73 655 597  | 7%  |
| 3 | არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები            | 0,4                 | 564 157 252   | 650 141 564   | 85 984 312  | 15% |
| 4 | საყოფაცხოვრებო მომხმარებლები               | 6-10                | 477 594       | 455 917       | (21 677)    | -5% |
| 5 | საჯარო მიმწოდებელი                         |                     | 1 268 481 834 | 1 364 792 316 | 96 310 482  | 8%  |
| 6 | არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები            | 0,4                 | 478 358 305   | 494 929 536   | 16 571 231  | 3%  |
| 7 | არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები            | 6-10                | 777 237 872   | 857 651 411   | 80 413 539  | 10% |
| 8 | არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები            | 35-110              | 12 885 657    | 12 211 369    | (674 288)   | -5% |
| 9 | ჯამი:                                      |                     | 2 936 194 163 | 3 192 122 877 | 255 928 714 | 9%  |

მოხმარების ინტენსიურობის ზრდის შედეგად (მათ შორის რეალიზაციის ტარიფის შემცირების ხარჯზე), აღინიშნება ელექტროენერგიის რეალიზაციის მოცულობის ზრდა. მოცულობების ზრდის ძირითადი ნაწილი განპირობებულია კომერციული სექტორითა და მოსახლეობით.

## **VI. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები**

2025 წელს შპს „თელმიკო“ აქტიურად გააგრძელებს საქმიანობის გაფართოებას და სიახლეების დანერგვას, რომლებიც მიზნად ისახავს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, საოპერაციო ეფექტიანობის გაზრდასა და რისკების შემცირებას.

### **ელექტროენერგიის ბაზრის განვითარება და ახალი შესაძლებლობები:**

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 4 ივნისის №181 დადგენილების შესაბამისად, ენერგეტიკული ბირჟის სრულფასოვანი ამოქმედება 2025 წლის 1 ივლისისთვის გადაიდო. 2024 წლის 1 ივლისიდან 2025 წლის 1 ივლისამდე ბირჟა ნებაყოფლობითი მონაწილეობის რეჟიმში მოქმედებს.

### **მომზადება ბირჟაზე ვაჭრობისთვის და საქმიანობის გაფართოება:**

კომპანიის 3 თანამშრომელმა ჩააბარა გამოცდა და მიენიჭათ ელექტროენერგიის ბირჟის სერტიფიცირებული სავაჭრო წარმომადგენლის სტატუსი, რაც კომპანიას აძლევს საშუალებას აწარმოოს სავაჭრო ოპერაციები ელექტროენერგიის ბირჟაზე. ბირჟაზე ვაჭრობისთვის მოსამზადებლად, კომპანია გააღრმავებს სპეციალიზებულ ცოდნას და დანერგავს საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას.

### **აბონენტთა ბაზის ზრდა და მომსახურების გაუმჯობესება:**

2025 წელს კომპანიის მოლოდინია, რომ აბონენტთა რაოდენობა გაიზრდება 20 000-ით. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, დაგეგმილია დისტანციური მომსახურების სერვისების შემდგომი განვითარება, მათ შორის ჩატ-ბოტის დანერგვა. ასევე, ამოქმედდება აბონენტის პირადი კაბინეტი, რიგის მართვის სისტემა და ელექტრონული ხელმოწერის ფუნქცია მომსახურების ცენტრებში.

### **უსაფრთხოების სისტემის და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება:**

კომპანია გააგრძელებს კორპორაციული რისკების მართვის კულტურისა და ინფორმაციული უსაფრთხოების განვითარებას. 2025 წელს დაგეგმილია CRM-სისტემის დანერგვა, რაც ავტომატიზირებულს გახდის მომხმარებლებთან ურთიერთობის პროცესს და გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, ასევე ERP-სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნეს-პროცესების ინტეგრაციასა და მართვას.

გარე IT-მომსახურებებისგან დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით, შეიქმნება შიდა კომპეტენციის ცენტრი. ასევე, განხორციელდება გამანაწილებელი ქსელის ოპერატორთან (ქსელის ორგანიზაცია) მონაცემთა გაცვლის პროცესები ოპტიმიზაცია, რაც ინფორმაციის გაცვლის საიმედოობასა და უსაფრთხოებას კიდევ უფრო გაზრდის.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბილინგის სისტემის განვითარებას – დაინერგება ახალი მოდულები პროცესების ავტომატიზაციისთვის. ასევე, მომხმარებელთა უსაფრთხოებისა და კომფორტის გასაუმჯობესებლად დაინერგება SMS ვერიფიკაციის სისტემა.

### **საკადრო პოტენციალის გაძლიერება:**

ბაზრის ცვლილებებთან წარმატებული ადაპტაციისა და თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, 2025 წელს დაგეგმილია სასწავლო პროგრამებისა და საკადრო რეზერვის განახლებასთან, სწავლებასთან და განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარება.

### **საკომუნიკაციო სტრატეგია და კორპორაციული კულტურა:**

2025 წელს პრიორიტეტული მიმართულება იქნება საკომუნიკაციო სტრატეგიის განვითარება, რომელიც მოიცავს გარე და შიდა კომუნიკაციებს, მარკეტინგს, საზოგადოებასთან ურთიერთობას და კორპორაციულ კულტურას.

წლის განმავლობაში ჩატარდება საინფორმაციო კამპანიები სოციალურ ქსელებში, რომლებიც მომხმარებელთა ლოიალობის გაზრდასა და კომპანიის იმიჯის განმტკიცებას შეუწყობს ხელს. ასევე, ჩატარდება სხვადასხვა აქციები, მათ შორის „ოქროს საყრდენის პრემია“, რომელიც მომხმარებელთა წახალისებას ისახავს მიზნად, და PR-კამპანია, რომელიც მათ მონაცემთა განახლების აუცილებლობის შესახებ ინფორმირებას შეუწყობს ხელს.

## **VII. საინვესტიციო საქმიანობა**

2024 წლის განმავლობაში საზოგადოების მიერ განხორციელებულია ინვესტიციები კაპიტალდაბანდებათა ფორმით შემდეგი მოცულობით:

*ცხიხიში მითითებულია თანხები ათ. ლაქში*

|                              |     |
|------------------------------|-----|
| დაფინანსება, დღგ-ით          | 497 |
| ათვისება, დღგ-ის გარეშე      | 432 |
| ძს-ში შეყვანა, დღგ-ის გარეშე | 837 |

ინვესტიციები დაკავშირებულია ბილინგის სანარმოო ექსპლუატაციაში ჩაშვებასთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) განვითარებასთან და საზოგადოების მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის უზრუნველსაყოფად (თანამშრომლების სამუშაო ადგილების შექმნა).

## **VIII. შესყიდვების საქმიანობა**

შესყიდვასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისას საზოგადოება ხელმძღვანელობს შემდეგი შიდა ნორმატიული დოკუმენტებით (შემდგომში შნდ):

- „გამარტივებული შესყიდვის პროცედურის ჩატარების“ #პრ-309-60 პროცესის რეგლამენტი, დამტკიცებული გენერალური დირექტორის 2022 წლის 22 მარტის #27 ბრძანებით;

- „შპს „თელმიკოს“ საჭიროებებისთვის საქონლის, სამუშაოების, მომსახურების რეგლამენტირებული შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულება, დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით (2022 წლის 31 მარტის ოქმი #15, საკითხი # 3);

- „შპს „თელმიკოს“ წლიური კომპლექსური შესყიდვების პროგრამის ფორმირებისა და შესწორების“ #მთ-565-1 მეთოდის, დამტკიცებული გენერალური დირექტორის 2022 წლის 5 მაისის #34 ბრძანებით;

- „შესყიდვის პროცედურების ჩატარების“ პროცესის #პრ-556-4 რეგლამენტი, დამტკიცებული გენერალური დირექტორის 2022 წლის 5 მაისის #36 ბრძანებით;

- „შპს „თელმიკოს“ წლიური კომპლექსური შესყიდვების პროგრამის ფორმირების, შესწორებისა და შესრულების კონტროლის“ პროცესის #პრ-019-8 რეგლამენტი, დამტკიცებული გენერალური დირექტორის 2022 წლის 5 ოქტომბრის #37 ბრძანებით;

- „ხელშეკრულების საწყისი (მაქსიმალური) ფასის გაანგარიშების შპს „თელმიკოს“ მიერ საქონლის, სამუშაოების, მომსახურების შესყიდვების ჩატარებისას“ #მთ-557-3 მეთოდის, დამტკიცებული გენერალური დირექტორის 2022 წლის 30 მაისის #44 ბრძანებით;

- „შესყიდვაში მონაწილეობის მიღების შესახებ განაცხადების საექსპერტო შეფასების ჩატარების“ პროცესის #პრ-014-4 რეგლამენტი, დამტკიცებული გენერალური დირექტორის 2022 წლის 30 მაისის #46 ბრძანებით.

მონაცემები 2024 წლის 4 კვარტლის შედეგების მიხედვით შპს „თელმიკოს“ შესყიდვების წლიური კომპლექსური პროგრამის შესრულების შესახებ კვარტალური ანგარიშის შეთანხმების შესახებ განმარტებითი ბარათიდან:

2024 წლის შესყიდვების წლიური კომპლექსური პროგრამა დამტკიცდა 2023 წლის 30 ნოემბერს საზოგადოების შესყიდვების ცენტრალური კომიტეტის #683-0009-2023 გადაწყვეტილებით, 2 935 ათასი ლარის ოდენობით თანხაზე დღგ-ის გარეშე (87 ლოტი).

საზოგადოების მიმდინარე კორექტირებული წლიური კომპლექსური პროგრამა, საზოგადოების ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს (შემდგომში - ეაო) და შესყიდვების ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, მოიცავს 88 ლოტს 3 455 365,93 ლარის თანხაზე, დღგ-ის გარეშე.

2024 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარებულია შესყიდვების 85 პროცედურა (ლოტი), 2 939 600,08 ლარის ფაქტობრივ ღირებულებაზე, დღგ-ის გარეშე, მათ შორის:

- საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებით – 69 ლოტი, 2 826 014,35 ლარის თანხაზე, დღგ-ის გარეშე;

- საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებით – 16 ლოტი, 112 585,73 ლარის თანხაზე, დღგ-ის გარეშე;

2024 წლის 4 კვარტლის შედეგების მიხედვით შესყიდვების წლიური კომპლექსური პროგრამის შესრულების მოცულობამ ღირებულების პარამეტრებით შეადგინა 85,00%, ხოლო რაოდენობრივი პარამეტრებით - 96,6%.

ინფორმაცია ჩატარებული შესყიდვის პროცედურების შესახებ გამარჯვებულის არჩევით 2024 წელს.

| შესყიდვების რაოდენობა |                        |     |
|-----------------------|------------------------|-----|
| მეტრ                  | სამუშაოები/მომსახურება | სულ |
| 30                    | 55                     | 85  |

ინფორმაცია საზოგადოების მიერ შესყიდვების საქმიანობის შედეგების მონიტორინგის შესახებ, მათ შორის, დამტკიცებული შესყიდვების წლიური კომპლექსური პროგრამისა და ნორმატიული დანახარჯების შესაბამისობის კუთხით: 2024 წელს შესყიდვები საზოგადოების საჭიროებებისთვის ხორციელდებოდა დამტკიცებული ნორმებისა და დადგენილი ლიმიტების შესაბამისად.

## IX. საზოგადოების რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის დახასიათება

საზოგადოებაში მოქმედებს რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემა (შემდგომში რმ და შკს), რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან ბიზნეს პროცესებს, საქმიანობის მიმართულებებსა და მართვის დონეებს. საზოგადოების რისკის მართვისა და შიდა კონტროლის სისტემა შეიქმნა შემდეგი მიზნით:

- გონივრული რწმენის უზრუნველყოფა საზოგადოების მიზნების მიღწევაში;
- ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში ხელშეწყობა და ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანი მართვა;
- პარტნიორობისა და ინვესტორების ნდობის მაღალი დონის უზრუნველყოფა საზოგადოების საქმიანობის მიმართ;
- აქტივების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- ბუღალტრული (ფინანსური), სტატისტიკური, მმართველობითი ანგარიშგების სისრულისა და სანდოობის უზრუნველყოფა, საგადასახადო ანგარიშგების მოთხოვნების დაცვა;
- კანონმდებლობის, ასევე, შიდა ნორმატიული დოკუმენტებისა და პროცედურების, საქმიანი ეთიკის ნორმების დაცვის კონტროლი.

რმ და შკს აგებულია კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციების, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც მრავალდონიანი იერარქიული სისტემა მართვის სხვადასხვა დონეზე: სამეთვალყურეო საბჭოს, აღმასრულებელი ორგანოების, რისკის მფლობელების, თანამშრომლების დონეზე.

წამყვანი სპეციალისტი კომპლავენს საკითხებში ახორციელებს რმ და შკს -ის ფარგლებში საქმიანობის კოორდინაციის ფუნქციას.

რმ და შკს -ის ამოცანებია:

– რისკების მართვის კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბება, საზოგადოების მიზნების მიღწევაში გონივრული ნდობის უზრუნველსაყოფად გადაწყვეტილების მიღებისას რისკზე ორიენტირებული მიდგომის განვითარება;

– მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესების, ასევე საქმიანობის სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის დროული და სრული საინფორმაციო და ანალიტიკური მხარდაჭერა, რომლებიც მიმართულია ფინანსური სტაბილურობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად;

– რისკების გამოვლენა, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობის მიზნების მიღწევაზე: საოპერაციო, მდგრადი განვითარების მიზნები, ასევე, ამ რისკების მართვა;

– ხელშეწყობა საზოგადოების დროულ ადაპტაციაში გარე და შიდა გარემოს ცვლილებებთან რისკების იდენტიფიცირებისა და მართვით, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის პროცესებისა და პროცედურების ფარგლებში, მათ შორის:

- რისკებისა და რისკის ფაქტორების იდენტიფიკაციის, შეფასების, პრევენციისა და მინიმიზაციის პროცესები, აგრეთვე რეალიზებული რისკების შედეგების რეგულირება;

- ღონისძიებების შემუშავება, მათ შორის კონტროლის პროცედურების, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნეს პროცესების საიმედოობას და რისკების ზემოქმედების შემცირებას, რისკის ფაქტორებზე პრევენციული ზემოქმედების, მათი დიზაინისა და ოპერატიული ეფექტურობის შეფასების ხარჯზე;

– საზოგადოების ბიზნესის მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა;

– საზოგადოების საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესების ეფექტურობის კონტროლის მექანიზმების შექმნა, მათ შორის, ეკოლოგიური, სამრეწველო, ეკონომიკური, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და რესურსების დაცვის, საზოგადოების აქტივების უსაფრთხოებისა და ბიზნესის წარმართვის უზრუნველსაყოფად, საზოგადოების სოციალურად პასუხისმგებელი პოზიციის გათვალისწინებით;

– ანგარიშგების მომზადებისა და მიწოდების კონტროლის მექანიზმების შექმნა, რომელიც აკმაყოფილებს სისრულის, სანდოობის, დროულობის მოთხოვნებს და ექვემდებარება გამჟღავნებას მოქმედი კანონმდებლობისა და მოქმედი შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად;

– კანონმდებლობასთან, ასევე შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან და პროცედურებთან, ბიზნეს ეთიკის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგის მექანიზმების შექმნა, მათ შორის:

- მარეგულირებლებისა და გარე დაინტერესებული მხარეების ინტერესების შესაბამისად, რმ და შკს-ის ფუნქციონირებისა და შეფასების შედეგების, რისკებისა და რისკების (რისკის ფაქტორების) მართვასთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ ინფორმაციის

მაღალი ხარისხით გამჟღავნება, მათ შორის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების საკითხები;

- საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდის უზრუნველყოფისა და რეპუტაციული რისკების შემცირების მიზნით, მდგრადი განვითარების, კორპორაციული მართვის დონის ამაღლებისა და საზოგადოების ბრენდის პოპულარიზაციისთვის ხელის შეწყობა.

რმ და შკს-ის სრულყოფის მიზნით საზოგადოებაში შემუშავდა და გატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- ბანკებთან მუშაობა ფულადი სახსრების განთავსებისთვის საუკეთესო შეთავაზებების მისაღებად;

- სავალუტო რისკის კონტროლი ხელშეკრულებების დადებისას, რომლებიც გავლენას ახდენს საზოგადოების აქტივების ღირებულებაზე;

- კონტრაგენტ-ბანკებთან ფულადი ოპერაციების განხორციელებისას დამტკიცებული ლიმიტების დაცვა და კონტრაგენტ-ბანკებს შორის განთავსებული დროებით თავისუფალი ნაღდი ფულის დივერსიფიკაცია დადგენილ ლიმიტებში;

- გამანაწილებელი სისტემის ოპერატორთან (ქსელური ორგანიზაცია) ორგანიზებული მუშაობის ჩატარება ვადაგადაცდილებული დებიტორული დავალიანების შესამცირებლად;

- მარეგულირებელთან (სემევი) რეგულარული შეხვედრების/მოლაპარაკებების გამართვა მისაღები სატარიფო-საბალანსო გადანეწილებების მისაღებად;

- მომხმარებლებთან მუშაობის ორგანიზება ბაზარზე მათი შესაძლო (პოტენციური) გადინების რისკების შესამცირებლად;

- შრომის დაცვის, უბედური შემთხვევების პრევენციის, სანიტარიულ-ჰიგიენური და შრომის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებები;

- დასაქმების პროგრამის განხორციელება, საკადრო რეზერვის ფორმირება და განმავითარებელი სწავლების (ტრენინგების) ჩატარება.

რისკების მართვისა და შიდა კონტროლის პროცესის ეტაპები საზოგადოებაში ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

- რმ და შკს-ის სამიზნე ორიენტირების განსაზღვრა;

- რისკების იდენტიფიცირება კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი ფაქტორების გათვალისწინებით;

- რისკებისა და რისკის ფაქტორების შეფასება და პრიორიტიზაცია;

- რისკებზე რეაგირების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, მათ შორის საკონტროლო პროცედურებისა და მათი ეფექტურობის შეფასება;

- რისკებისა და რისკ-ფაქტორების, კრიტიკული რისკებისა და სხვა არსებითი რისკების რეალიზაციის შესახებ ოპერატიული ინფორმირების მონიტორინგი და კონტროლი;

- პერიოდული და წლიური ანგარიშგების მომზადება და რისკების მართვისა და შიდა კონტროლის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება;

- რმ და შკს-ის ეფექტიანობის შეფასება.

საზოგადოებაში დამტკიცებულია შიდა ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს მუშაობას რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სფეროში:

- „საზოგადოების რისკების მართვისა და შიდა კონტროლის პოლიტიკა“, რომელიც განსაზღვრავს რმ და შკს-ის ორგანიზების პრინციპებსა და მიდგომებს, დამტკიცებულია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ;

- „რისკების მართვისა და შიდა კონტროლის რეგლამენტი“, რომელიც განსაზღვრავს რმ და შკს-ის სუბიექტებს შორის ურთიერთქმედების წესს რისკების მართვისა და შიდა კონტროლის პროცესის ეტაპების განხორციელებისას;

- მეთოდები, რომლებიც ახდენენ რისკების მართვის ცალკეული პროცედურებისა და გარკვეული ტიპის რისკების მართვისადმი მიდგომების ფორმალიზებას.

## **X. რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის მიმოხილვა ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებით**

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემა შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

1. კონტროლი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების სარწმუნო ფორმირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

**არსებობა და წარმოშობა** - აქტივები, ვალდებულებები და საკუთრების უფლებები, რომლებიც არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის, და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებთან დაკავშირებული ოპერაციები ასახავს საანგარიშო პერიოდში რეალურად მომხდარ მოვლენებს;

**სისრულე (დროულობა)** - ყველა ოპერაცია, მოვლენა და გარემოება, რომელიც მოხდა საანგარიშო პერიოდში და მიეკუთვნება ამ პერიოდს, ფაქტობრივად აისახება ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში;

**უფლებები და ვალდებულებები** - საზოგადოებას აქვს უფლება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და ეკისრება ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ პასივებზე საანგარიშო თარიღისთვის;

**შეფასება და განაწილება** - ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და ხარჯი აისახება ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;

**სიზუსტე** - ყველა ოპერაცია დათვლილია, შეჯამებულია და აისახება ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი თანხებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

**წარდგენა და გამჟღავნება** - ფინანსური ანგარიშგების მუხლები სათანადოდ არის აღწერილი, კლასიფიცირებული და გამჟღავნებული.

2. რისკის მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორებიცაა იდენტიფიცირება, შეფასება და დროული რეაგირება, რაც გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასანდოობაზე.

3. მონაცემთა სანდოობის შეჯერება - ხორციელდება კონტროლი ინფორმაციის ორ ან მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობების არარსებობაზე საწყისი მონაცემების სანდოობის დასადასტურებლად (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაქტებთან/სტრუქტურულ განყოფილებებთან).

## **XI. ფინანსური რისკების მართვა**

საზოგადოება საქმიანობისას აწყდება ფინანსურ რისკებს (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები) და იურიდიულ რისკებს. საზოგადოება აგრძელებს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის სერვისების გაუმჯობესებას. საზოგადოების ამჟამინდელი ღონისძიებები, მათ შორის საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ კონტროლი და გაუმჯობესებები შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ფინანსური, ოპერატიული და სამართლებრივი რისკები, როგორც ახლა, ისე მომავალში.

**საკრედიტო რისკი:** საზოგადოება ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარე ვერ შეძლებს დავალიანების დროულად და სრული მოცულობით გადახდას. ფინანსური აქტივები, რომლებთან დაკავშირებითაც საზოგადოებას წარმოეშობა პოტენციური საკრედიტო რისკი, ძირითადად, შედგება:

საბოლოო მომხმარებლების დებიტორული დავალიანებისგან (სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება);

- ბანკებში დეპოზიტებსა და ვადიან ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრებისგან (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, ვადიანი დეპოზიტები);

- სს „თელასისთვის“ გაცემული სესხისგან.

სემეკის 2021 წლის 28 ივნისით დათარიღებული №19 დადგენილების თანახმად, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ვალდებულია, მომხმარებელი ელექტროენერგიის ქვითრით გათვალისწინებული თანხის გადაუხდელობის გამო შეუწყვიტოს მომხმარებელს ელექტროენერგიის მიწოდება. ეს გარემოება ნაწილობრივ არეგულირებს ფულადი სახსრების ამოღების რისკს.

გარდა ამისა, საკრედიტო რისკის კონცენტრაცია საცალო მომხმარებლებზე მინიმუმამდეა დაყვანილი, საცალო მომხმარებლების დიდი რაოდენობის გამო.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია შესაძლებლობა, გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში მომხმარებლებისგან ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალების სახით მოთხოვნილ იქნეს საზოგადოებისთვის

ფულადი დეპოზიტის ან საბანკო გარანტიის წარდგენა რათა შემცირდეს გადაუხდელობის შემთხვევაში ფინანსური ზარალის რისკი.

კომპანიას აქვს კონსერვატიული მიდგომა რეზერვების შექმასთან დაკავშირებით, რომელიც ნებისმიერი პრობლემური მომხმარებლის დროული იდენტიფიცირებისა და ადეკვატური დარეზერვების საშუალებას იძლევა. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების გამოკლებით (2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 64 527 ათასი ლარი და 65 176 ათასი ლარი, შესაბამისად), ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 157 872 ათასი ლარი და 238 311 ათასი ლარი, შესაბამისად), ვადიანი დეპოზიტის ნაშთის ეკვივალენტი (2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 92 000 ათასი ლარი და ნული ლარი, შესაბამისად) და გაცემული სესხი (2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 16 566 ათასი ლარი და 16 566 ათასი ლარი, შესაბამისად) წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. საზოგადოებას მიაჩნია, რომ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საკრედიტო რისკი უცვლელად დაბალია, ვინაიდან ელექტროენერგია მოსახლეობის ერთ-ერთი უმთავრესი საჭიროებაა და გადაუხდელობის შემთხვევაში მათ უწყდებოდა ელექტროენერგიის მიწოდება.

საზოგადოება საკრედიტო რისკს მართავს თავისი ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უმეტესი ნაწილის განთავსებით საქართველოს ბანკებში, რომელთა რეიტინგი შეადგენს არანაკლებ „B“ და „BB“ Fitch რეიტინგის სკალაზე. ასევე, ხელმძღვანელობა ყურადღებით ადევნებს თვალს იმ ბანკების მდგომარეობას, რომლებშიც ინახება დეპოზიტები, ასევე ყოველდღიურ რეჟიმში ადევნებს თვალს მსხვილი მომხმარებლების საგადახდო დისციპლინას. ხელმძღვანელობა ასევე ყურადღებით ადევნებს თვალს სს „თელასის“ - საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოს პროცენტიან სასესხო მოთხოვნას, ამავე დროს საზოგადოებას აქვს კრედიტორული დავალიანების მნიშვნელოვანი მოცულობა სესხის დასაფარად.

**საბაზრო რისკი:** საზოგადოება ექვემდებარება საბაზრო რისკებს. ელექტროენერგიის გასაყიდი ტარიფები დგინდება რეგულირების პერიოდისთვის და შემდეგი ელემენტებისგან შედგება:

- ელექტროენერგიის მიწოდების ტარიფები;
- განაწილების მომსახურების ოპერატორის ტარიფი;
- გადაცემის ტარიფები.

ტარიფის ფიქსაცია ზღუდავს საზოგადოების უნარს, დააკორექტიროს გასაყიდი ფასები მისი კომპონენტების ცვლილების საპასუხოდ. როგორც წესი, მიმდინარე ხარჯების ზრდა კომპენსირდება „n+2“ პერიოდში სემეკის მიერ საზოგადოებისთვის დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიით, რაც მნიშვნელოვნად აკომპენსირებს საბაზრო რისკს.

ბაზრის კონცეფციის მიხედვით, 2023 წლის 1 ივლისიდან მაღალი ძაბვის ყველა აბონენტს და საშუალო ძაბვის აბონენტების ნაწილს, რომლებსაც აქვთ ყოველთვიური მოხმარება 1 მლნ კვტ, უნდა გასულიყვნენ საჯარო მიწოდებიდან. შემდგომში, მრავალი დადგენილებით (მათ შორის, 2024 წლის 29 ივნისით დათარიღებული უახლესი დადგენილების) სავალდებულო გადასვლის თარიღი გადაიდო 2025 წლის 1 ივლისამდე. საზოგადოება არ მოელოს, რომ ამ ცვლილებას არსებითი ეფექტი ექნება, ვინაიდან ასეთი ტიპის მომხმარებლების რაოდენობა შეზღუდულია.

**ლიკვიდურობის რისკი:** ლიკვიდურობის რისკის მართვის გონივრული პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო რესურსების საკმარისი მოცულობით უზრუნველყოფის საშუალებით. 2024 წლის 4 ივნისს ბაზრის კონცეფციაში განხორციელებული უახლესი ცვლილებების საფუძველზე, ელექტროენერგიის შესყიდვა ელექტროენერგიის ღია ბაზარზე დაიწყო 2024 წლის 1 ივლისიდან, ნებაყოფლობით საფუძველზე. ქვემოთ მოცემული რისკების გათვალისწინებით, საზოგადოება არ იღებს მონაწილეობას ელექტროენერგიის ღია ბაზარზე ვაჭრობაში.

ელექტროენერგიის ბირჟაზე ოპერირებისთვის საზოგადოებამ დღით ადრე უნდა გადაიხადოს შესასყიდი ელექტროენერგიის საფასური და წარმოადგინოს საბანკო გარანტია. საზოგადოებას მოუხდება დამატებითი დაფინანსების მოზიდვა, რათა დააფინანსოს დეფიციტი ფულადი ნაკადების შემოსვლასა და გასვლას შორის, რასაც დააკომპენსირებს ტარიფი, სემეკის მიერ მომდევნო სატარიფო პერიოდისთვის დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ცხილში მითითებულია თანხები ათ. ლაჩში

| 2024 წლის 31 დეკემბერი                  | 1 წელზე ნაკლები | 1-დან 2 წლამდე | 2-დან 5 წლამდე | სულ           | საბალანსო ღირებულება |
|-----------------------------------------|-----------------|----------------|----------------|---------------|----------------------|
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 89 396          | -              | -              | 89 396        | 89 396               |
| საიჯარო ვალდებულებები                   | 861             | 292            | 79             | 1 232         | 956                  |
| <b>სულ სამომავლო გადახდები</b>          | <b>90 257</b>   | <b>292</b>     | <b>79</b>      | <b>90 628</b> | <b>90 352</b>        |

ცხილში მითითებულია თანხები ათ. ლაჩში

| 2023 წლის 31 დეკემბერი                  | 1 წელზე ნაკლები | 1-დან 2 წლამდე | 2-დან 5 წლამდე | სულ           | საბალანსო ღირებულება |
|-----------------------------------------|-----------------|----------------|----------------|---------------|----------------------|
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 66 419          | -              | -              | 66 419        | 66 419               |
| საიჯარო ვალდებულებები                   | 851             | 700            | 166            | 1 717         | 1 573                |
| <b>სულ სამომავლო გადახდები</b>          | <b>67 270</b>   | <b>700</b>     | <b>166</b>     | <b>68 136</b> | <b>67 992</b>        |

**ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები:** გარანტიები. საზოგადოებამ წარუდგინა გარანტია ესკოს და უზრუნველყოფის სახით დააგირავა ვადიანი დეპოზიტი 2024 და 2023 წლებში, შესაბამისად.

| ცხილში მითითებულია თანხები ათ. ლაში                    |                   |                   |
|--------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მიმღები                                                | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
| სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ | 33 859            | 11 742            |

**დაგირავებული აქტივები:** 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოებას უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი აქვს შემდეგი აქტივები:

ცხილში მითითებულია თანხები ათ. ლაში

| დაგირავებული აქტივები | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|-----------------------|-------------------|-------------------|
| დეპოზიტები            | 33 859            | 11 963            |

### სასამართლო დავები

(i) 2021 წლის 14 სექტემბერს საზოგადოებამ აღძრა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში სემეკ-ის 2021 წლის 12 აგვისტოს N37/3 დადგენილების გაუქმების თაობაზე, რომლითაც საზოგადოებას დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და დაჯარიმდა 75 ათასი ლარით მომხმარებლებისთვის საანგარიშსწორებო ქვითრების არასწორად მომზადების გამო. აღძრული სარჩელით მოთხოვნილია დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და მოპასუხის 2021 წლის 2 აგვისტოს N37/3 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა (მოთხოვნილია კომპანიისთვის დაკისრებული ჯარიმის 75 000 ლარის 5000 ლარამდე შემცირება). მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის უარყოფის თაობაზე. იგეგმება გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ ინსტანციაში საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(ii) ფიზიკური პირის მიერ აღძრულია შრომითსამართლებრივი დავა 754 036 ლარის შპს „თელმიკოსთვის“ დაკისრების მოთხოვნით. კომპანიას აქვს მოლოდინი, რომ ხსენებულ საქმეზე მაღალი ალბათობით გადაწყვეტილება მიღებული იქნება დამსაქმებლის სასარგებლოდ. ამასთან, გამომდინარე შრომით დავებში მოქმედი ე.წ. ULTIMA RATIO-ს პრინციპიდან, ვიტოვებთ ვარაუდის საფუძველს, რომ არსებობს გარკვეული შანსი დავის კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ დასრულებისა. საზოგადოება არ მიიჩნევს საჭიროდ რეზერვის შექმნას სარჩელით მოთხოვნილი თანხის დასაფარად.

ანგარიშგების თარიღისთვის, საზოგადოების ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე რეალური, მოსალოდნელი ან გონივრული სარჩელები კომპანიის წინააღმდეგ, რომლებიც არსებით გავლენას მოახდენდა საზოგადოებაზე.

## XII. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

### მიდგომა მდგრადი განვითარების მიმართ

საწარმოს გარე და შიდა გარემოს ფაქტორების ურთიერთგავლენის ანალიზი და აღრიცხვა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი საწარმოს მდგრადობის რეალიზაციისთვის, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობები.

სოციალური მდგრადობა უზრუნველყოფილია საკადრო შემადგენლობის მდგრადობით. პერსონალის სტაბილურობა და კვალიფიკაციის პოტენციური დიდწილად განსაზღვრავს საწარმოს მდგრადობას.

საწარმოს მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია განვითარების სტრატეგიის გამოყენება, რომელიც საშუალებას აძლევს მას გაუძლოს გარემოს უარყოფით ზემოქმედებას. მხოლოდ მუდმივი განახლების რეჟიმში ყოფნით - ტექნოლოგიური, საკადრო - შეუძლია საწარმოს გადარჩეს კონკურენტულ გარემოში და გაამყაროს თავისი პოზიცია ბაზარზე.

შპს „თელმიკოს“ პოლიტიკა მდგრადი განვითარების სფეროში ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

- ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდა პარტნიორების ინტერესებიდან გამომდინარე;
- პასუხისმგებლობა საქმიანობის ხარისხზე, საიმედოობასა და უსაფრთხოებაზე;
- მუშაკთა შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- პროფესიული კარიერის თანმიმდევრული ზრდისა და თანამშრომელთა პროფესიული ცოდნისა და უნარების დონის ამაღლებისთვის პირობების შექმნა;
- სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტის განვითარება;
- ურთიერთქმედება შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან, რომელიც დაფუძნებულია ინტერესთა ბალანსის შენარჩუნებასა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაზე.

### **პერსონალის მართვა**

საანგარიშო პერიოდში ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა პერსონალის მართვის სისტემის ეფექტურობის გაზრდა, მათ შორის, საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება, შრომის პროდუქტიულობის ზრდა, მუშაკთა შრომის დაცვის საკითხები.

### **საკადრო პოლიტიკა**

საზოგადოების საკადრო პოლიტიკა მიზნად ისახავს:

- პერსონალის განვითარებას, ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვას;
- თანამშრომელთა მომზადების, სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებას;
- თანამშრომლების კარიერის დაგეგმვასა და განვითარებას;

- საკადრო რეზერვის ჩამოყალიბებას;
- პერსონალის მოტივაციის სისტემის გაუმჯობესება;
- სოციალური პარტნიორობის განვითარება;
- კორპორაციული პოლიტიკის როლის გაძლიერებას;
- პერსონალით დაკომპლექტებას;
- საზოგადოების ხელმძღვანელ პოზიციებზე საკადრო რეზერვის არსებობას.

უნდა აღინიშნოს, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვის მიზნით, კომპანიის მიერ დიდი რაოდენობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების გამო, გენერალური დირექტორის 04.09.2024წ. #კ-262 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის საშტატო ერთეული და თანამდებობაზე მიღებულ იქნა შესაბამისი თანამშრომელი.

### საზოგადოების პერსონალის დახასიათება

| წელი | სიითი რაოდენობა<br>(პირი) | პერსონალით დაკომპლექტება,<br>(პირი) |
|------|---------------------------|-------------------------------------|
| 2024 | 204                       | 188                                 |

| განათლების დონე               | აღამიან. რაოდენობა |
|-------------------------------|--------------------|
| უმაღლესი პროფესიული განათლება | 171                |
| ორი უმაღლესი განათლება        | 7                  |
| საშუალო ზოგადი განათლება      | 10                 |

| პერსონალის სტრუქტურა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით |      |     |
|-------------------------------------------------------|------|-----|
| 30 წელზე ახალგაზრდა                                   | პირი | 30  |
| 30-დან 50 წლამდე                                      | პირი | 115 |
| 50 წელს ზევით                                         | პირი | 43  |

| პერსონალის სტრუქტურა გენდერის მიხედვით |     |
|----------------------------------------|-----|
| მამაკაცი                               | 45  |
| ქალი                                   | 143 |

## პერსონალის სწავლება და განვითარება

2024 წელს საზოგადოების პერსონალის სწავლება და განვითარება განხორციელდა შემდეგ მიმართულებებში: ინფორმაციული უსაფრთხოება, ელექტროენერგეტიკული დარგის რეგულირება, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, მონაცემთა ანალიზისა და ვიზუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა - Qlik Sense, დებიტორული დავალიანების მქონე აბონენტების დოკუმენტაციის წარმოების წესი. ცალკე უნდა აღიშნოს, რომ კომპანიის 3 თანამშრომელმა ჩააბარა გამოცდა და მიენიჭათ ელექტროენერგიის ბირჟის სერტიფიცირებული სავაჭრო წარმომადგენლის სტატუსი, რაც კომპანიას აძლევს საშუალებას აწარმოოს სავაჭრო ოპერაციები ელექტროენერგიის ბირჟაზე.

საზოგადოების თანამშრომელთა წილი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სასწავლო პროგრამებში, შეადგინა 86%, აქედან გარე სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა მიიღო - 14%, შიდა სასწავლო პროგრამებში - 83% (თანამშრომელთა გარკვეულმა რაოდენობამ მონაწილეობა მიიღო როგორც შიდა, ასევე გარე სასწავლო პროგრამებში).

სწავლების საათების საშუალო რაოდენობა ერთ თანამშრომელზე წელიწადში იყო:

- სხვადასხვა დონის ხელმძღვანელები - 6 საათი,
- სპეციალისტები - 8 საათი,
- დანარჩენი - 5 საათი.

## შრომის უსაფრთხოება

2024 წელს შპს „თელმიკოს“ პრიორიტეტს კვლავ წარმოადგენდა უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველყოფა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სახანძრო უსაფრთხოებასა და პერსონალის საგანგებო სიტუაციებში მოქმედების კუთხით გადამზადებას. ჩატარდა გეგმიური და არაგეგმიური შემოწმებები, რისკების შეფასება, შენობების, აღჭურვილობისა და დაცვის სისტემების შემოწმება. კონტროლდებოდა ავტომობილების უსაფრთხოების საშუალებებით აღჭურვა და ხორციელდებოდა მძღოლების ჯანმრთელობის მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი. ასევე 2024 წელს შრომის ინსპექციის მიერ ჩატარდა შემოწმება, რომლის შედეგად საზოგადოებას არ დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. კომპანიის ყველა ახალმა თანამშრომელმა (39 ადამიანი) გაიარა შესაბამისი ინსტრუქტაჟები. 2025 წელს კომპანიისთვის პრიორიტეტულია სამუშაო ადგილებზე რისკების შემდგომი შემცირება და ეკოლოგიური ნორმების დაცვა, რაც მოიცავს ქაღალდის, ელექტრომოწყობილობებისა და აკუმულატორების გადამუშავებას.

### **XIII. ინფორმაცია საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ**

ცხრილში მოყვანილია მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს საზოგადოების აქტივებისა და საწესდებო კაპიტალის ღირებულების ცვლილების დინამიკას 2024-2020 წლებში.

*ცხრილში მითითებულია თანხები ათ. ლაშში*

|                    | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი |
|--------------------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|
| საწესდებო კაპიტალი | 100       | 100       | 100       | 100       | 100       |
| წმინდა აქტივები    | 100       | 51 905    | 145 278   | 240 761   | 228 530   |

2024 და 2023 წლებში საზოგადოების პარტნიორების შემადგენლობაში ცვლილებები არ მომხდარა.

საზოგადოების წმინდა აქტივები მოიცავს 2021-2024 წლებში დაგროვილ მოგებას და პარტნიორების შენატანს საზოგადოების წესდების შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭოს 2023 წლის 10 ნოემბრის #42 და სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით, საზოგადოებამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 6 235 ათასი ლარის და 2 078 ათასი ლარის ოდენობით, თანხის გატანის გადასახადის ჩათვლით.

### **XIV. ინფორმაცია არაპროფილური აქტივების შესახებ**

საზოგადოების მიერ 2024 წლის დეკემბერში განხორციელდა აქტივების ანალიზი არაპროფილური აქტივების გამოვლენის მიზნით („არაპროფილური აქტივების გამოვლენისა და გასხვისების შესახებ“ მეთოდის N1 დანართის პირველი განყოფილების შესაბამისად). ანალიზის შედეგები ინახება საზოგადოებაში ელექტრონული ფორმით.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საზოგადოება არ ფლობს არაპროფილურ აქტივებს.

სამეთვალყურეო საბჭომ 2024 წლის 13 დეკემბერს (2024 წლის 13 დეკემბრის N56 ოქმი) მიიღო გადაწყვეტილება არაპროფილური აქტივების არარსებობის გამო საზოგადოებაში არაპროფილური აქტივების გასხვისების პროგრამისა და არაპროფილური აქტივების რეესტრის დამტკიცების მიზანშეუწონლობის შესახებ.

## **XV. დამატებითი ინფორმაცია პარტნიორებისათვის**

**შპს „თელმიკოს“ იურიდიული მისამართი:**

შპს „თელმიკო“, საქართველო, 0186, ქ. თბილისი, ოთარ ჩხეიძის ქ. #10

**შპს „თელმიკოს“ საფოსტო მისამართი:**

შპს „თელმიკო“, საქართველო, 0186, ქ. თბილისი, ოთარ ჩხეიძის ქ. #10

**ელექტრონული ფოსტის მისამართი:** info@telmico.ge

**ს/ნ:** 406312690

**საზოგადოების აუდიტორი არის:** შპს «UHY»

მისამართი: საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 41; ს/ნ 406026447

აუდიტორის საკონტაქტო ტელეფონი: +(995) 577 75 94 44

ინფორმაცია აუდიტორზე გაცემული ლიცენზიის შესახებ:

რეგისტრაციის თარიღი: 29.12.2016

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-615768

**დანართი № 1 წლიურ ანგარიშზე:**

2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წლის ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის აუდიტორული დასკვნით